საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 17 დეკემბერი, 2014 წელი.

№254 (7635)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



უზარმაზარი შეცდომაა, როდესაც გგონია, სახელმწიფო მართვა და კომპანიის მენეჯმენტი ერთი და იგივეაო

სანდრო თვალჭრელიძე:

③

ქართველი ბიზნესმენების რუსული ბიზნესი საფრთხეშია

④

რატომ ღირს საქართველოში საწვავი ძვირი?

„დანაშაული კარტელური გარიგებაა და არა – მაღალი ფასი“

კაცობრიობის საშიში სენი – ტერორიზმი!

⑤

რა ამოაძრობს „საცობებს“ ქალაქის ქუჩებიდან?

⑥

საქართველოში ბავშვთა მოძალებული ქალადობის პრობლემის მოსაგვარებლად

⑪



უფლება – გამოიტანოს ვერდიქტი – მკითხველს ეკუთვნის

⑨

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ლარი

დაღმა სვლის მორიგი ეტაპი

ლარის კურსი ჯერ მთელი ერთი კვირის განმავლობაში ეცემოდა, შემდეგ ასევე მთელი კვირის განმავლობაში მყარდებოდა და ახლა ისევ გაუფასურებისკენ იბრუნა პირი. მართალია, ჯერჯერობით მცირედით, თუმცა, 15 დეკემბერს ლარი 1 პუნქტით გაუფასურდა. სავალუტო ჯიხურებს მყისიერი რეაგირება ჰქონდათ და „გარე კურსი“ 1,85-ს გადაცდა.

დოლართან მიმართებაში ლარის ახალი ოფიციალური გაცვლითი კურსი საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაადგინა და 16 დეკემბრიდან 1 დოლარი 1.8413 ლარი ეღირება. ეროვნული ვალუტის ასეთი ამპლიტუდა რომ ხელოვნურია, ამაზე არა მარტო სპეციალისტები საუბრობენ, არამედ პარლამენტშიც კი ეჭვობენ. ამიტომ ამ საკითხს კარგი გამოკვლევა და შესწავლა სჭირდება.

ლარის კურსის ბოლოდროინდელ ცვლილებასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე. მისი განცხადებით, შეცდომა სწორედ იქ არის დაშვებული, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბოლო 5 თვის განმავლობაში თითქმის ერთიანად გაყიდა 80 მილიონი დოლარი, თუმცა, ამის ნაცვლად ამ პერიოდის განმავლობაში სებ-ს 20-20 მილიონი დოლარი რომ გაეყიდა ბაზარზე, შესაძლოა, ლარის ასეთი ვარდნა არც ყოფილიყო.

მისი თქმით, ფინანსთა მინისტრმა ხარჯები თვეების მიხედვით გადაანაწილა ისე, როდესაც აქტიურია ეკონომიკა. წლის ბოლოს კი ეკონომიკა ყველაზე უფრო აქტიურია, ყველა უფრო მეტს ხარჯავს, ითვისებენ თანხებს, შემოაქვთ საქონელი, რათა მომავალი წლიდან არ გაძვირდეს და მთელი ეს 15-17% ბიუჯეტის ხარჯისა და შემოსავლებისა, გადმოტანილია დეკემბერში. ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ ეს შეგნებულად არის გაკეთებული, რადგან წლის ბოლო უფრო აქტიურია.

როგორც ტყემალაძემ „კომერსანტს“ განუცხადა, ახალ წელს არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში ადგილობრივი ვალუტის კურსი ყოველთვის ეცემა, ამისთვის ყველა მზად უნდა იყოს. ბუნებრივია, ლარის კურსის ასეთი ცვალებადობა არ უნდა იქნეს დაშვებული, ეროვნულ ბანკსაც და ფინანსთა სამინისტროსაც თავისი ინსტრუმენტები აქვს, რომ ეს ზომები წინასწარ იქნეს მიღებული.

ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი, ექსპერტი გია ხუხაშვილიც ფიქრობს, რომ ლარის გარშემო მოვლენები არალოგიკურად განვითარდა. ამიტომ იგი ხელისფლებას ამ საკითხის შესწავლისკენ მოუწოდებს.

„ის, რაც ლარის გარშემო ხდება, ეკონომიკურ ლოგიკას არ ექვემდებარება. ვფიქრობ, ამაზე მოკვლევაა ჩასატარებელი. მგონი, ადვილი დასადგენია ამ პროცესში ვინ მოითბო ხელი და რა მოხდა. ეროვნულ ბანკს აქვს ინფორმაცია, ბოლო პერიოდში ვალუტის შესყიდვას ან გაყიდვას ვინ აწარმოებდა. ამით კი შესაბამისი დასკვნების გაკეთება შეიძლება.

როდესაც ასეთი არაობიექტური რყევა იწყება, ბუნებრივია, ამაზე სუბიექტური ფაქტორები მოქმედებს. ეს კი ქვეყანაში, საერთოდ თუ სახელმწიფოა, გამორიცხული უნდა იყოს. შესაბამისად, არ მინდა რაღაც შეთქმულების ფორმულა გამოვიყვანო, მაგრამ, ვფიქრობ, ხელისუფლებამ ყურადღებით უნდა შეისწავლოს, რა მოხდა სინამდვილეში.

მანამდე ყველა ამბობდა, რომ კურსი არ უნდა გაქცეულიყო და უცბად მოხდა ასეთი რყევა, რაც ძალიან უცნაურია. ვფიქრობ, ეროვნულმა ბანკმა განმარტებები უნდა გააკეთოს“, — განაცხადა ხუხაშვილმა.

მისივე თქმით, ხელოვნური მანიპულაციებით ვალუტის ცვლილება ხელისუფლების გარეშეც არის შესაძლებელი. ამიტომ იგი ხადურისა და ქადაგიძის უწყებებს ამის შესწავლისკენ მოუწოდებს.

ბექა დანელია

მიხეილ ძაძამიას პატიმრობიდან გათავისუფლება ვითარებას არსებითად ვერ შეცვლის

ამის შესახებ ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას ძმამ გოგლა ჟვანიამ სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული კომენტარის საპასუხოდ განაცხადა.

ჟვანია აცხადებს, რომ მიმდინარე გამოძიებაზე შეფასებას მისი დასრულების შემდეგ გააკეთებს.

„დაველოდოთ გამოძიების დასრულებას, შეფასებები მერე შეიძლება გავაკეთოთ. ყველასთვის ცნობილია, რომ გამოძიების პროცესი დასრულებული არ არის. ის, რომ პატიმრობიდან გათავისუფლდა მიხეილ ძაძამია, პროკურატურის ბრალი ნაკლებად არის, რამდენადაც ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დაცვის მხარემ მოითხოვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ეს პროცესი გაჭიანურებულია, წინასწარი პატიმრობის ვადა ამოწურულია და ძაძამია გათავისუფლდა. არის პატარ-პატარა ხრიკები კანონმდებლობაში. ჩვენი მოწინააღმდეგეები, ამ შემთხვევაში ის ადამიანები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული ამ გამოძიებით, ამ ხრიკებს ბუნებრივია, გამოიყენებენ, მაგრამ ეს ვითარებას არსებითად ვერ შეცვლის“, — განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

კითხვაზე, არის თუ არა მიმდინარე გამოძიების შედეგებით კმაყოფილი, გოგლა ჟვანიამ აღნიშნა — „კმაყოფილი ვიქნები, როდესაც გამოძიება დასრულდება, თუ შეიძლება საერთოდ ამ ვითარებაში კმაყოფილებაზე საუბარი“.

ამასთან, „ინტერპრესნიუსის“ შეკითხვაზე, ხედავს თუ არა გამოძიების მიმდინარეობისას ექსჰუმაციის საჭიროებას, გოგლა ჟვანიამ აღნიშნა, რომ „რაც გამოძიებისთვის საჭირო იქნება, ყველა ღონისძიება ჩატარდება„.

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გუშინ განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებული კითხვების რაოდენობამ წლის განმავლობაში კიდევ უფრო მოიმატა.

როგორც ნანუაშვილმა აღნიშნა, იმისათვის, რომ გამოძიების შედეგებმა ეჭვი არ გააჩინოს, მნიშვნელოვანია, ყველა საგამოძოებო მოქმედების ჩატარება, მათ შორის — ექსჰუმაცია. სახალხო დამცველის თქმით, კითხვის ნიშნები არსებობს ამ საქმეზე ბრალდებულ ძაძამიასთან დაკავშირებითაც, რომელიც ორი დღის წინ გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

◎ შეშფოთება

ეროვნული მუზეუმი საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

საქართველოს ეროვნული მუზეუმი საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით უკანასკნელ დღეებში მიმდინარე პროცესების გამო უკიდურესად შეშფოთებულია.

როგორც ეროვნული მუზეუმის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ბოლო დროს, სხვადასხვა კონტექსტით ხშირად ხდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის საქმიანობისა და კომპეტენციის არასწორი ინტერპრეტაცია, რითაც ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო რეპუტაცია ილახება, ყოველივე ეს კი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას იწვევს. ამიტომ გვინდა, კიდევ ერთხელ დავადასტუროთ მუზეუმის პოზიცია, რომ ჩვენი, გერმანული მხარისა და სხვა, პარტნიორი დაწესებულებების მიერ ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ჩატარებული კვლევების საფუძველზე საყდრისი წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიურ ძეგლს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ბოხუმის გერმანიის სამთო მუზეუმთან (DBM) და სხვა უცხოელ პარტნიორებთან ერთად 2004 წლიდან აწარმოებდა სამთო-მეტალურგიული კერის საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ კვლევებს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე, რის შედეგადაც სამეცნიერო წრეების მიერ ძეგლი აღიარებულ იქნა ოქროს სამთამადნო წარმოების უძველეს კერად მსოფლიოში, რაც გამოხატა სხვადასხვა დროს საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებში. მიგვაჩნია, რომ არქეოლოგიური ობიექტის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა განაპირობა 2013 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმად, ოქროს სამთამადნო წარმოების ძეგლს მოეხსნა სტატუსი. აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად დაედო თერთმეტკაციანი კომისიის დასკვნა, რომლის მომზადებაში არ ყოფილან ჩართული ის ქართველი და უცხოელი მეცნიერები, რომლებიც თითქმის ათი წლის განმავლობაში იკვლევდნენ ძეგლს. 2013 წელს მოხდა საერთაშორისო ექსპედიციის ჯგუფის იზოლირება ძეგლისაგან და იმავე წელს არქეოლოგთა სხვა ჯგუფმა ჩაატარა სამუშაოები, რომლის შედეგადაც გააქტიურდა ძეგლის ნგრევის პროცესი. ჩვენ მეცნიერებს არ ჰქონდათ საშუალება არათუ ჩართულიყვნენ მიმდინარე სამუშაოებში, ინფორმაციასაც არ ფლობდნენ ძეგლზე მიმდინარე პროცესების შესახებ.

მისივე ინფორმაციით, 2014 წლის ზაფხულში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კომპანია „RMG გოლდის“ ინიციატივით აღდგა ურთიერთობა საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფთან და დაიწყო მოლაპარაკება ძეგლზე შემდგომი კვლევა-ძიების გაგრძელებასთან დაკავშირებით. პროფესორ ტომას შტოლნერისა და დოქტორ ირინე ღამბაშიძის მიერ მომზადდა არქეოლოგიური გათხრების გაგრძელების გეგმა საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში. გეგმასთან ერთად მომზადებულია ჩატარებული კვლევების ანგარიში, რომელიც გადაეგზავნა მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კომპანია „RMG გოლდს“.

„საქართველოს ეროვნული მუზეუმი, როგორც სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, მიუხედავად შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, მზად არის, სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში კვლავ განიხილოს სამეცნიერო კვლევების გაგრძელების შესაძლებლობა“, — ნათქვამია ეროვნული მუზეუმის განცხადებაში.

პრობლემის მოგვარებაში პრემიერ-მინისტრი უნდა ჩართულიყო

პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა როგორც განაცხადა, როდესაც ასეთი ტიპის პრობლემები ჩნდება, სწორედ მთავრობის მეთაურის მყისიერი ნაბიჯებია აუცილებელი და მისი მენეჯერული თვისებები სწორედ აქ უნდა გამოვლინდეს.

„მთავარი არის ის, რომ არავითარი დიალოგი არ წარმოებდა. კულტურის სამინისტრო კარჩაკეტილად მუშაობდა. მათ არავითარი დიალოგი არ აწარმოეს, ან არასაკმარისად ითანამშრომლეს საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრებთან. ვფიქრობ, პრობლემის მოგვარებაში უშუალოდ პრემიერ-მინისტრი უნდა ყოფილიყო ჩართული. პრობლემის მოგვარება პრემიერმა კულტურის სამინისტროს არ უნდა დააკისროს. კულტურის სამინისტრო პრობლემას ვერ აგვარებს, ორი წელია ამ თემაზე მიდის საუბარი. წინა მინისტრი მეტწილად სწორედ ამ პრობლემის გამო გადააყენეს თანამდებობიდან და ახალ მინისტრს მემკვიდრეობით მისგან ძალინ დიდი პრობლემა ხვდა წილად. ამიტომ დამალვა, კარების მიკეტვა პრობლემის მოგვარება არ არის. პრობლემას პრობლემა დაემატა — შეილახა ჩვენი საერთაშორისო იმიჯი, ხალხი აღშფოთებულია, ამავე დროს არსებობს მეწარმის და იქ დასაქმებული ადამიანების კანონიერი ინტერესები“, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი კომპანიის „ერემჯის“ მიერ სამუშაოების განახლების ფორმა ცაგარეიშვილს წინა ხელისუფლების დროინდელ მოქმედებებს ახსენებს და აცხადებს, რომ მომპოვებელი სამუშაოები შაბათ-კვირას, ღამით არ უნდა დაწყებულიყო.

ცაგარეიშვილი ეკოლოგიურ პრობლემებზეც ამახვილებს ყურადღებას. როგორც დეპუტატმა განაცხადა, მდინარე კაზრეთულაზე მავნე ნივთიერებების გამზომველი დამონტაჟდა, რომლის მეშვეობით 24-საათიან რეჟიმში შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რა სახის მავნე ნივთიერებების ჩაქცევა ხდება მდინარეში.

◎ ინფორმაცია

ქართველმა ჯარისკაცებმა სამხედრო განათლება აიმაღლეს, გენერალმა კი ქართული ისწავლა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ბერნარდ ჰოპიმ ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში გამგზავრებამდე ქართულად მიმართა.

„მე ვიცი, რომ გერმანიაში თქვენ მიიღეთ ძალიან კარგი სამხედრო განათლება. გერმანელ ინსტრუქტორებთან ერთად კარგად მუშაობდით და ვფიქრობ, რომ კარგად მომზადებული ხართ მისიისთვის. 11 წლის წინ თქვენსავით მეც ვიყავი საფრანგეთში. იქ ყოფნის დროს ორჯერ ისეთი სიტუაცია იყო, როცა მე გამიმართლა. ამიტომ მე გისურვებთ ჯარისკაცულ გამართლებას. ნახვამდის ჯარისკაცებო“, — მიმართა ვიცე-პოლკოვნიკმა ბერნარდ ჰოპიმ ქართველ ჯარისკაცებს.

გუშინ ავღანეთში კიდევ ერთი ნაკრები ასეული გაემგზავრა. ასეულის გაცილების ცერემონია ვაზიანის მეოთხე მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე გაიმართა. ნაკრები ასეული საერთაშორისო მისიას ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მაზარ-ი-შარიფში გერმანული კონტინგენტის დაქვემდებარებაში შეასრულებს.

უზარმაზარი შეცდომაა, როდესაც გგონია, სახელმწიფო მართვა და კომპანიის მენეჯმენტი ერთი და იგივეაო

ლარის „ინციდენტისა“ და სამთავრობო ცვლილებების შემდეგ, ეკონომიკის ზრდისა და განვითარების ტემპებმა საზოგადოება საგონებელში ჩააგდო – რამდენად მძიმე მდგომარეობა გვაქვს, მივალთ თუ არა ეკონომიკურ კრიზისამდე, ან გამოსავალი არსებობს თუ არა ამ რთული მდგომარეობიდან. თემებზე, რაც საზოგადოებას განსაკუთრებით აინტერესებს, FORGE ექსპერტ სანდრო თვალჭრელიძეს ესაუბრა.

– ბატონო სანდრო, სამთავრობო ცვლილებები ეკონომიკურ გუნდსაც შეეხო, როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი ე.წ. ტენდერების საქმის გაგრძელებაა?

– პრემიერის ეკონომიკური მრჩევლების გუნდის ცვლილებას ნამდვილად მივესალმები, რაღაც პერიოდში მჭიდროდ ვთანამშრომლობდი ამ გუნდთან და მათმა უნიათობამ განმაცვიფრა – ვერ აკეთებდნენ ვერაფერს. რაც, ჩემი აზრით, მთავარია, ვერ უწინასწარმეტყველეს პრემიერ-მინისტრს, რა დაემართებოდა ლარს. მეჩვენება, რომ ეს იყო ბოლო წვეთი. ნორმალური ეკონომიკური პროგნოზი იქ არ კეთდებოდა და ვერ ურჩევდნენ პრემიერს, ეკონომიკური განვითარების როგორი სტრატეგია უნდა აერჩია ქვეყანას. ძირითად პრობლემებს ამაში ვხედავ და არა ტენდერებში.

ტენდერები სამინისტროების საქმეა და ეკონომიკური პროფილის სამინისტროებში, ფაქტობრივად, ერთი სამინისტროს გარდა, მინისტრის მოადგილე არ შეცვლილა, ეს ცვლილება შესაძლოა, ტენდერებით იყოს გამოწვეული – ნოდარ ჯავახიშვილს ვიცნობ, პროფესიონალია და მეჩვენება, რომ მისთვის ეს თანამდებობა ცოტა ნაკლებიც კია.

– რაც შეეხება ეკონომიკას, თვლით, რომ შესაძლებელი იყო უფრო მეტი ეფექტის მიღება, ვიდრე დღეს გვაქვს?

– ვთვლი, რომ ეკონომიკაში უნდა ყოფილიყო ორნიშნა ზრდა. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა, გუნდში რომ ყოფილიყო ერთნაირი მიდგომა, რომ შეცვლილიყო კანონები, მათ შორის, კანონი წიაღის შესახებ. რატომღაც მგონია, რომ გარემოსა და ეკონომიკის მინისტრებს არ ესმით ამ კანონის შეცვლის მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში, ამოქმედდებოდა სამთო სექტორი, რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიკის სწრაფი ტემპით ზრდაში დიდ წილს ასრულებს.

– გამოდის, რომ რაღაც გუნდი აფერხებდა გარკვეულ პროექტებს?

– არ ვიცი, აფერხებდა თუ არა, მგონია, რომ უბრალოდ საკითხის მნიშვნელობა არ ესმით. პროფესიონალიზმის ნაკლებობაა.

– იმავე მიზეზით მოხდა ლართან დაკავშირებული „გაუგებრობაც“?

– შარშან რა მიზეზით მოხდა?

– ითქვა, რომ ხელოვნურად გაუფასურდა...

– მგონია, რომ წელსაც ხელოვნური იყო. ის მიზეზები, რაც პრემიერმა დაასახელა, კრიტიკას ვერ უძლებს – ნავთობზე ფასები რომ დაეცა, დოლარი გამყარდაო. კი, გამყარდა ევროსთან მიმართებაში, მაგრამ ჩვენთან ლარის გაცვლითი კურსი შეიცვალა ევროსთან. აქ რაღაც შიდა პროცესები იყო და დაგვიანებით გაატარა ღონისძიებები ცენტრალურმა ბანკმა უნებლიეთ, ან – მიზანმიმართულად.

იანვარში, დაახლოებით, 10%-ით უფრო ცუდი კურსი იქნება ლარისა, ვიდრე 2014 წლის იანვარში იყო დოლართან მიმართებაში. ნახეთ, როგორც კი მოუნდა ეროვნულ ბანკს, მაშინვე გამყარა კურსი. მით უმეტეს, რომ პრემიერ-მინისტრი იძახის, მესამე კვარტალში 508 მლიონის ინვესტიცია შემოვიდა. თუკი ეს ქაღალდზე არ არის დაწერილი და რეალურად შემოვიდა, ფული ხომ დოლარში შემოვიდოდა? შეფარდება დოლარსა და ლარს შორის უნდა შეცვლილიყო, ლარზე მოთხოვნა უნდა გაზრდილიყო – ეს ფული ხომ უნდა დაიხარჯოს ქვეყანაში და დახარჯავენ ლარს და არა დოლარს. ასე რომ, ლარს დევალვაცია კი არ უნდა განეცადა, პირიქით, უნდა გამყარებულიყო. ეს რომ აშკარად ხელოვნურია და შიდა ადამიანური ფაქტორებითაა გამოწვეული, ჩემთვის აშკარაა.

– შესაძლოა, ბიუჯეტის შევსების წყარო ყოფილიყო?

– თამაში ხშირად მიდის იმაზე, რომ ჩვენი საგარეო ვალი ლარშია დაფიქსირებული და ლარში უნდა გადავიხადოთ ვალის მომსახურების პროცენტიც. როცა სუსტია ლარი, ნაკლებს ვიხდით – ეს ერთი. მეორე – შეიძლებოდა ყოფილიყო მოთხოვნა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, რომ ლარი ცოტა დასუსტებულიყო. რეალური მიზეზი არ ვიცი, თუმცა, ეს ყველაფერი რომ ქართულ ეკონომიკას არ გამოადგება, ჩემთვის ცხადია.

– თქვენ თქვით ეკონომიკური გუნდი არაფერს აკეთებდაო, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს რომ ეკონომიკამ განვითარება დაიწყოს?

– მრეწველობა უნდა განვითარდეს. სოფლის მეურნეობას ხელს რომ ვუწყობთ, კარგია, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა ეკონომიკური ზრდა, თუ არ ვითარდება მრეწველობა. იმით მიაღწია სომხეთმა ზრდას, რომ განავითარა სამთო მომპოვებელი მრეწველობა. ასე განვითარდა აზერბაიჯანი, ნავთობისა და გაზის სექტორით და ა.შ.

– ჩვენ რა რესურსის გამოყენება შეგვიძლია?

– ძალიან ბევრი რაღაცის გამოყენება შეგვიძლია. ჩვენი არამადნიანი მინერალური რესურსები მსოფლიო მნიშვნელობისაა. მაგალითად, ავიღოთ ასკანის ბენტონიტური თიხის საბადო, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოა. ჩვენ ეს საბადო მივეცით ბერძნულ კომპანიას, რომელსაც თავისი საბადოები აქვს პაროსის კუნძულზე. მათ ჩვენი საბადო გაყინეს, რომ კონკურენციაში არ შესულიყო ბერძნულ საბადოებთან.

თავის დროზე ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი საბადო. ასეთი საბადო საქართველოში 39. თავის დროზე საქართველოში იყო 58 აგურის ქარხანა. ახლა დაბალი ხარისხის ბლოკს ვაწარმოებთ და სილიკატური აგური თურქეთიდან შემოგვაქვს. ადრე – გაგვქონდა, ახლა – შემოგვაქვს.

ოციოდე წლის წინათ რიგები იდგა თურქეთის საბაჟოსთან და ათასგვარი ტექნიკა გაგვქონდა. ახლა ეს ტექნიკა შემოდის. ამ დროის მანძილზე თურქეთმა მოახერხა მრეწველობის ამ დარგის განვითარება, ჩვენ კი რაც გვქონდა, ისიც დავკარგეთ. საქართველოს მიკროძრავების ქარხანა ერთ-ერთი წამყვანი იყო მსოფლიოში. 68 ქვეყანაში მიდიოდა ჩვენი მიკროძრავები, ელმავლებს ვყიდდით...

– ეს ყველაფერი განადგურებული დახვდა მარტო ამ კი არა, წინა ხელისუფლებასაც...

– ხომ გვაქვს თანადაფინანსების 6-მილიარდიანი ფონდი? – 700 მილიონს ვდებთ სოფლის მეურნეობაში, რაც არარენტაბელური იქნება. პირველი, რაც უნდა გატარდეს სოფლის მეურნეობაში, ეს არის მიწის ნაკვეთების კონსოლიდაცია. კანონით, არ შეიძლება, სასოფლო-სამეურნეო საწარმო გააკეთო სასოფლო-სამეურნო მიწების ბაზაზე, რომლის ფართიც 40 ჰა-ზე ნაკლებია.

აღმოსავლეთ ევროპაში საფეიქრო მრეწველობა წამყვანი იყო. თბილისის №1 საფეიქრო ფაბრიკა მთელ საბჭოთა არმიას ამარაგებდა საბნებით, ახლა საბნები თურქეთიდან შემოგვაქვს. აბრეშუმი აღარ არის საქართველოში. არ შეიძლება მარტო ღვინოზე, მინერალურ წყალსა და ლუდზე კონცენტრირება.

– როდესაც ეს გუნდი ხელისუფლებაში მოდიოდა, წარმოების განვითარებისთვის დახმარების ათასგვარ პროექტს გვთავაზობდა, შეიქმნა ფონდები, მაგალითად, ხორციელდება პროექტი „აწარმოე საქართველოში“ და ა.შ. ანუ ეფექტი არ არის?

– სხვათა შორის, შევთავაზე რამდენიმე საინტერესო პროექტი, მაგრამ გაუვალი კედელია. თანადაფინანსების ფონდთანაც ძალიან ძნელია მუშაობა. ვთვლი, რომ არასწორი ორიენტირებია აღებული, არასწორად ვითარდება ჩვენი ეკონომიკა. არ გვაქვს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია.

თუ გინდა რაღაც მიზანს მიაღწიო, ეს მიზანი უნდა დასახო, როგორც ავტორბოლაშია, თუ გინდა გაიმარჯვო, უნდა იცოდე, ფინიში სად გაქვს. შემდეგ უნდა გააანალიზო გზა, რომელიც ფინიშამდე მიგიყვანს და ის ინსტრუმენტები, რომელიც ამ გზას გაგიადვილებს.

კერძო სექტორის გარდა, სახელმწიფო პრიორიტეტებიც უნდა არსებობდეს. მაგალითს მოგიყვანთ, თურქეთმა გადაწყვიტა, რომ გახდეს ტურისტული ქვეყანა და მართლაც გახდა, რადგან იქ დოტაციაზეა ტურიზმი – ძალიან დაბალი ფასებია და მართლაც, მიიზიდეს ათობით მილიონი ტურისტი. თურქეთმა ჩათვალა, რომ საჭიროა, თხილის ბიზნესის განვითარება და დღეს მსოფლიოს თხილით თურქეთი ამარაგებს. იცით, რამხელა დოტაცია იყო? – ყოველწლიურად ერთი მილიარდი დოლარი.

ასე ვითარდება მრეწველობა, სახელმწიფომ მხოლოდ ხელი კი არ უნდა შეუწყოს, სულ მცირე, იაფი ფული უნდა გაიღოს კერძო სექტორში წამყვანი, სტრატეგიული დარგებისთვის.

ულტრალიბერალური ქვეყანა ვართ, ყველაზე ლიბერალური ქვეყანაა აშშ. როცა ავტოინდუსტრიას გაუჭირდა, სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო, „ფორდის“, „კრაისლერის“ და ა.შ. მანქანათმშენებელი ქარხნების დოტაცია. ეროვნულ მრეწველობას მთავრობა უნდა გაუფრთხილდეს.

– როგორ ფიქრობთ, ეს ცვლილებები რაც განხორციელდა, რეალურად შეცვლის ეკონომიკურ მდგომარეობას?

– საქართველოში ძალიან ბევრი პრობლემაა. ყველაფერი იქიდან მოდის, რომ არ გვაქვს ნორმალური საარჩევნო სისტემა – რაღაც უცნაური, მაჟორიტარულ-პროპორციული კონგლომერატი გვაქვს. როდესაც პროპორციული წესით იმარჯვებ, ის ხალხი, რომელიც შენთან იყო, მერე უნდა დაასაქმო. ჩვენ თანამდებობებზე ხალხს ვარჩევთ არა პროფესიონალური, არამედ პოლიტიკური ნიშნით.

გადახედეთ ჩვენს მინისტრებს, თუნდაც მინისტრთა პირველ კაბინეტს, ყველა პოლიტიკური ფიგურა იყო, რომელსაც თავის საქმეში ძალიან პატარა გამოცდილება ჰქონდა. იმის ნაცვლად, რომ საქართველოში არსებული პროფესიონალების ისედაც მწირი რესურსი გამოვიყენოთ, თანამდებობაზე თანაპარტიელებს ვნიშნავთ, რომლებმაც არაფერი იციან.

უზარმაზარი შეცდომაა, როდესაც გგონია, რომ სახელმწიფო მართვა და კომპანიის მენეჯმენტი ერთი და იგივეა. არც თეორიულად და არც პრაქტიკულად, ეს ერთი და იგივე არ არის. ჩვენ გვყავს კომპანიის მენეჯერები და არა სახელმწიფო აზროვნების ადამიანები.

– ანუ, ივანიშვილმა საქართველო კომპანიად აღიქვა და მინისტრებად მენეჯერები დაგვინიშნა?

– ეს შეცდომა პირველად მოუვიდა ჩემს მეგობარ ზურაბ ჟვანიას, რომელმაც თქვა, რომ სახელმწიფო უნდა იმართებოდეს, როგორც შპს. ყველა მთავრობას, რომელიც შემდეგ მოდიოდა, იგივე შეცდომა ემართებოდა. ვინ ინიშნებოდნენ სააკაშვილის დროს მინისტრებად? თან, მაშინ, ბუშის გადმოგდებულ დოტაციაზე ვიყავით და ყოველწლიურად აშშ მილიარდ დოლარს გვაძლევდა, ამით ვცხოვრობდით. რაც იყო შემორჩენილი, ყველაფერი იმ დროს მოისპო და ახლა ამ ყველაფერს აღორძინება სჭირდება. მეჩვენება, რომ ძალიან ბევრმა არ იცის, რა უნდა გაკეთდეს.

მგონია, ყველაზე მეტი მაინც ენერგეტიკაში კეთდება, მაგრამ იქაც ისე არ მიდის საქმე, როგორც საჭიროა. უფრო სწრაფად არის საჭირო საქმის გაკეთება.

– 2016 წლამდე შევძლებთ, რაიმე ეკონომიკური შედეგი დავდოთ, თუნდაც ამომრჩევლის ნდობის მოსაპოვებლად?

– თუ არ მოხდა რადიკალური ცვლილებები, 2016 წლამდეც ასეთივე ნელი ტემპით მივალთ. ვფიქრობ, მთავრობამ ნელ-ნელა გაკვეთილები უნდა ისწავლოს, დასკვნები გააკეთოს და მოხდეს რაღაც კარდინალური გადახალისება სამთავრობო გუნდისა. მეჩვენება, რომ გაზაფხულზე მინისტრთა კაბინეტის მთლიანად შეცვლა, ან პრემიერის ნდობის ვოტუმის საკითხი დადგება.

– მიზეზი ეკონომიკური პრობლემები გახდება?

– 5-6% ეკონომიკური ზრდა თვალნათლივია, მაგრამ არ ვვითარდებით ისეთი ტემპით, როგორიც საჭიროა. 2003 წელს საქართველოში მშპ-ს მოცულობა ყველაზე მაღალი იყო სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის. ახლა ბოლო ადგილზე ვართ. ეს, რა თქმა უნდა, წინა ხელისუფლების დამსახურებაა, მაგრამ, როდესაც კრიზისიდან გამოსვლა გინდა, ანტიკრიზისული პროგრამა უნდა ჩართო. ჩვენ კი იმ ტემპით მივდივართ, თითქოს ყველაფერი რიგზეა. ასე არ არის საქმე, სასწრაფოდ ანტიკრიზისული ღონისძიებები გვჭირდება. ეს შესაძლებელია დაახლოებით 4-5 წელიწადში.

– მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, რა იგულისხმება ამ ანტიკრიზისულ ღონისძიებებში?

– ეკონომიკის განვითარებისთვის მრეწველობის განვითარებაა საჭირო, რასაც მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს; მრეწველობის ის დარგები უნდა განვითარდეს პრიორიტეტულად, რომელიც ადგილობრივ რესურსებზე იქნება დაფუძნებული; უნდა შეიმუშავო გეგმა, რა პროდუქცის წარმოება იქნება მომგებიანი – 100 ათასი ლარი რომ გაიღოს სახელმწიფომ, მეზობელი ქვეყნების ბაზრების შესწავლას მოახერხებს. რა პროდუქციაზეც მაღალი მოთხოვნაა, უნდა შეეცადო, ძვირად ღირებული პროდუქტი შედარებით იაფფასიანი ექსპორტით ჩაანაცვლო – ეს არის სამარკეტინგო პოლიტიკის ანბანი. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და არა კერძო კომპანიების – ეს არის სამი ძირითადი თეზისი იმისათვის, რომ სწრაფად განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა.

ლალი ზირაქიშვილი

◎ კაკალ გულში

წესიერთანი ფრაზები

● **კბილაშვილის იმედი გვქონდა, სამართლიანობას აღადგენსო? მდა�ა .. . ყოჩაღ კოჟორიძე, კაცი ყოფილხარ!**

● **ძეგლები გადამალეთ, ამფეთქებლები მოდიან!**

● **იმ ხალხმა, 2012 წლის პირველი ოქტომბრის მერე რომ გავიგეთ რა ჰქვიათ და რა გვარები არიან, ამოიდგან ენა!**

● **ნაძვის ხის მაგივრად, ყველაფერი რო კიდია, ეგეთი კაცი რო დავდგა?**

● **კბილაშვილმა გირგვლიანის საქმეში ვერ იპოვა დამნაშავე და ოქროს კარგად მიაგნო.**

● **მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტი და დედაქალაქის მერი ხათრის პროდუქტები არიან, – საქართველოა.**

ანუ რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ! (სულ ხელისგულზე სატარებელი)

● **უკვე რამდენი წელია, რაც მდინარის პირას ვსხედვართ და მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი, ბრძენო ჩინელებო?!**

● **ასაფეთქებელი კიდევ ბევრია. აბა ჰე!**

● **რესპუბლიკური პარტია იმდენად მრავალწახნაგოვანია, რომ აგრარული პროკურორიც კი ჰყავთ პარლამენტში.**

● **მაია ფანჯიკიძე არქეოლოგიაშიც მისის–მასტერია?**

● **ძვირფასო ქალებო, დღეს თანამდებობის პირის ცოლობა არც პრივილეგიაა და არც– ინდულგენცია.. გაითვალისწინეთ, კარგ რჩევას გაძლევთ!**

● **ხალხოოო, „სვეტი“ რომ არ ხართ, ტელევიზორში ნუ „სვეტსკობთ“ ხოლმე რა... ულამაზოდ ჩანს და ძალიან ხელოვნური იერი აქვს...**

● **მოკლედ... მოვიდა გუდიანი კაცი და ააფეთქა საყდრისი...**

დამნაშავე არ ჩანს... ამერჯი...გვმოძღვრავს... ქუცნაშვილი ისევ ცილინდრით დადის... გაჯგიმული... კბილაშვილი ალბათ ზღაპრებს მოგვიყვება... გიორგაძე-განტევების ვაცად ქცეული...წავა სახლში... ესრე იყო ამბავი საყდრისისა და გუდიანი კაცისა!!!

ჭირი იქა...ლხინი აქა..

ქატო იქა...ფქვილი აქა...

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ნავთობი

რატომ ღირს საქართველოში საწვავი ძვირი?

„დანაშაული კარტელური გარიგებაა და არა – მაღალი ფასი“

ბოლო თვეების განმავლობაში ნავთობის ფასი მსოფლიოში მინიმუმამდე დაეცა: ივლისის შუა რიცხვებში 1 ბარელი ნავთობი 115 დოლარი ღირდა, დღეს კი ეს ფასი ლამის 100 პროცენტით არის შემცირებული: ნიუიორკში 1 ბარელი ნავთობი 57.81 დოლარი ღირს, ხოლო ლონდონში – 61.80 დოლარი. სპეციალისტთა ვარაუდით, შეიძლება მომავალში საწვავი კიდევ უფრო გაიაფდეს. ამ ფონზე გამუდმებით ისმის საყვედური, რომ საწვავის ქართული ბაზარი საერთაშორისო ფასებს მხარს ვერ უბამს, რომ საწვავი ჩვენთან ისევ ძვირია.

მარტივ გაანგარიშებას თუ მოვიშველიებთ, ეს საყვედური უსაფუძვლო ნამდვილად არ ჩანს: ე.წ. პლატცის საერთაშორისო ფასი არის 5744, რაც ეროვნულ ვალუტაში 1056 ლარია (1.84 კურსით). ამას ემატება აქციზის გადასახადი – 250 ლარი. ჯამში ვღებულობთ 1306 ლარს. 1 ტონა ბენზინი 1330 ლიტრი მოცულობისაა. თუ 1306 ლარს გავყოფთ 1330 ლიტრზე, მივიღებთ, რომ კომპანიებს 1 ლიტრი საწვავი აქციზის გადასახადთან ერთად 98 თეთრი უჯდებათ. რასაკვირველია, საწვავს ტრანსპორტირება და რეალიზაცია უნდა და ესეც კომპანიის ხარჯია. სანავთობო კომპანიებს ფინანსურ ანგარიშებში მითითებული აქვთ, რომ სატრანსპორტო, სარეალიზაციო, ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯების ოდენობა 1 ლიტრზე 10 თეთრს შეადგენს. როგორც დავთვალეთ, 1 ლიტრი საწვავი ყველანაირი ხარჯით 1.08 ლარი ჯდება. ამ თანხას ემატება დღგ – 18%, რაც 19.4 თეთრია. საბოლოო ჯამში, ყველანაირი ხარჯის ჩათვლით 1 ლიტრი პრემიუმი კომპანიებს დაახლოებით 1.27 ლარი უჯდებათ და საშუალოდ 2.09 ლარად ჰყიდიან ანუ 80-82-თეთრიანი მოგებით. გამოდის, რომ ეს კომპანიები საწვავს 64%-იანი მოგების მარჟით ყიდიან, რაც ჩვენი საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

„ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარემ **ვანო მთვრალაშვილმა,** bpn.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა იძლევა იმის წინაპირობას, რომ ნავთობის ფასი მცირდება.

ვანო მთვრალაშვილი: **„ბოლო პერიოდში საწვავის ფასი ლამის ყოველდღიურად მცირდება, საბოლოოდ, ასეთი სურათი მივიღეთ: 14 ნოემბერს ბენზინის ფასი „პლატცის“ მიხედვით 720 დოლარი ღირდა, ნოემბრის ბოლოს კი, ეს ფასი 665 დოლარამდე დაეცა, დეკემბრის დასაწყისში 650 დოლარი ღირდა და ბოლო დღეებში – 574-545 დოლარის ფარგლებში მერყეობს. როდემდე გაგრძელდება ნავთობის ფასის დაცემა? – ამ საკითხზე სხვადასხვა პროგნოზი არსებობს, მაგრამ საკმაოდ კომპეტენტური ანალიტიკური ორგანიზაციები ვარაუდობენ, რომ 2015 წელს ნავთობის ფასი სადღაც 60-75 დოლარს შორის იმერყევებს, თუმცა, არ არის გამორიცხული ეს ფასი კიდევ უფრო შემცირდეს და 50 დოლარამდე ჩამოვიდეს, ყოველ შემთხვევაში, 2015 წელს ნავთობზე ფასი რომ არ გაიზრდება, ეს უკვე აშკარაა.**

ხშირად გვეკითხებიან – მსოფლიოში ნავთობის ფასი ლამის განახევრდა და ჩვენთან რატომ არ იაფდებაო? – საქართველო არ არის ნავთობის მწარმოებელი ქვეყანა, რის გამოც გაიაფებული პროდუქტის შემოსვლა ქართულ ბაზარზე თანდათან ხდება. როგორც წესი, ჩვენთან სხვადასხვა ფასში ნაყიდი საწვავი იყიდება. ბოლო დღეებში გაიაფებული პროდუქცია კი, ჯერ ნაყიდიც არა აქვს ვინმეს, არათუ შემოტანილი. ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ლარის გაცვლითი კურსის ცვალებადობაც, თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, აგვისტოდან მოყოლებული დღემდე, საქართველოში საწვავის ფასი საშულოდ 25 თეთრით შემცირდა. რაც შეეხება მომავალს, ფასების შემცირება მომავალშიც გაგრძელდება და ეს უდავოა. ვფიქრობ, წლის ბოლომდე ფასები კიდევ შემცირდება, რასაც საახალწლო აქციებიც ხელს შეუწყობს“.

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის პრეზიდენტი რამაზ გერლიანის თქმით, სამართლიანი კონკურენციის პირობებში საწვავის ფასი საქართველოში გაცილებით ნაკლები იქნებოდა: **„ის შემცირება, რაც აქ ხდება, მიზერული და შეუსაბამოა მსოფლიოში არსებულ ტენდენციასთან, მით უმეტეს, რომ ევროპაში სარეალიზაციოდ გამოტანილი საწვავის ხარისხი აბსოლუტურად განსხვავდება ჩვენში არსებული საწვავის ხარისხისაგან – საქართველოს ბაზარზე გაცილებით მდარე ხარისხის საწვავი იყიდება, თანაც აქაური ფასები საკმაოდ მაღალია – ეს არის პარადოქსული მოვლენა, რომელზეც ამდენი ხანია, ვლაპარაკობთ. ისიც აშკარაა, რომ კომპანიები ძალიან მაღალი მოგების მარჟაზე მუშაობენ, მაგრამ ეს ყველაფერი კონკურენციის სააგენტომ უნდა შეისწავლოს. ერთი რამ ცხადია: ფასების შემცირების წამალი მთელ მსოფლიოში მხოლოდ კონკურენტული გარემოა, რაც საწვავის ქართულ ბაზარზე ნამდვილად არ ჩანს“.**

ექსპერტი მაკროეკონომიკის საკითხებში ვაჟა კაპანაძე მიიჩნევს, რომ ყოველგვარ ეჭვს დასაბუთება სჭირდება: **„ლიბერალური ეკონომიკის გადასახედიდან რომ შევაფასოთ, თუ საწვავი იყიდება იმ ფასად, რამდენიც ღირს, რატომ არ უნდა გაიყიდოს? ჩვენ ხომ არ ვკითხულობთ, რა უჯდება მანდარინის, ან ყვავილოვანი კომბოსტოს მოყვანა, ან შეძენა მის გამყიდველს? – მივდივართ და თუ ფული გვაქვს, ვყიდულობთ. ადამიანს საწვავის ყიდვის შესაძლებლობა რომ არ ჰქონდეს, მანქანას თავის ფარეხში გამოკეტავდა, მაგრამ ბაზარზე არის გადამხდელი და არის ფასიც. ახლა რაც შეეხება მეორე საკითხს – რატომ არის ფასი მაღალი? – აქ უკვე შემოდის მეორე ფაქტორი, რასაც კარტელური გარიგება ჰქვია. საწვავის ბაზარზე რეალური კომერცია რომ იყოს, ფასები მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, მაგრამ ვინაიდან ასე არ ხდება, საზოგადოებაში ჩნდება ეჭვი, რომელიც ამ ეტაპზე დაუსაბუთებელია. კარტელური გარიგებები კანონით ისჯება, მაგრამ ეს სერიოზული გამოძიების საგანია და არ შეიძლება ეჭვის საფუძველზე ვილაპარაკოთ. სულ მცირე, ერთი წელი მაინც დასჭირდება, რომ კონკურენციის სააგენტომ დასაბუთებული და სერიოზული დასკვნა დადოს. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლება ახალისებდა მონოპოლიებსა და კარტელურ გარიგებებს და რაც დღეს ხდება, წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტენდენციის გაგრძელებაა, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: კანონით ისჯება კარტელური გარიგება და არა – მაღალი ფასი. ამიტომ, ჩვენ ამ კომპანიების კეთილ ნებაზე ვართ დამოკიდებული: როგორც უნდათ, დააკლებენ ფასს, ან – მოუმატებენ. რომ არ იყოს მოთხოვნა პროდუქციაზე, ისინი ფასს შეამცირებდნენ, მაგრამ არის და რა ვქნათ? მაღალი მარჟები სხვა სფეროებშიც არის, მაგრამ ეჭვის გამო ხომ ვერ დავსჯით ვინმეს? ეჭვის დასაბუთებას მტკიცებულებები სჭირდება – ასეთია რეალობა, რომელიც დღეს-დღეობით ქვეყანაში გვაქვს“.**

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ კატასტროფა

ქართველი ბიზნესმენების რუსული ბიზნესი საფრთხეშია

ნავთობის გაიაფების პარალელურად, რუსული რუბლის გაუფასურების პროცესი გრძელდება.

ადგილობრივი მედიის ცნობით, რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა გასულ კვირას, რუბლის კურსის სტაბილიზაციის მიზნით, 25 მილიარდ რუბლზე მეტი გაყიდა, თუმცა, რუბლის გაუფასურება არც ამის შემდეგ შეჩერებულა. რუბლის გაუფასურება პირველ რიგში მომხმარებლის ჯიბეზე აისახა, შემდეგ კი – მომხმარებლის გარეშე დარჩენილ კერძო სექტორზე. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რუსეთში ბიზნესით დაკავებული ჩვენი თანამემამულეებიც...

ვალერი ჭყონია, სამშენებლო კომპანია „უნიტექსის“ მეწილე: „კატასტროფის პირას ვართ. უკვე შეჩერებულია მშენებლობები... ფინანსური კრიზისი საფონდო ბირჟის შემდეგ, ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებსაც შეეხო. მე და ჩემს პარტნიორებს 10-წლიანი სესხი გვაქვს აღებული, მაგრამ უკვე რამდენიმე თვეა, მშენებლობა შეჩერებული გვაქვს. უძრავი ქონება დავაგირავე, რათა სესხი დამეფარა... მუშახელი გავუშვით იმის გამო, რომ ხელფასს ვერ ვუხდიდით. ერთდროულად 7 ობიექტი გვქონდა აღებული მოსკოვში, მათ შორის, სამი სავაჭრო ცენტრი, სამედიცინო კლინიკა, ორი საბავშვო ბაღი, სამი საცხოვრებელი კორპუსი, მათგან მხოლოდ ერთის, სამედიცინო კლინიკის დასრულებას თუ შევძლებთ. კატასტროფულად გაძვირდა სამშენებლო მასალები, რომელსაც ძირითადად, გერმანელი და იტალიელი პარტნიორები გვაწვდიდნენ. მიმდინარე წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით, ახლა სამშენებლო მასალებს თითქმის 3-ჯერ ძვირად ვყიდულობთ. ზაფხულში ერთი დოლარი 29 რუბლი ღირდა, ახლა კი 60-მდე ავიდა... საახალწლოდ, ყველა უცხოეთში მიდიოდა და იქ ხვდებოდა ახალ წელს, წინასწარ ვუკვეთავდით სასტუმროებსა და რესტორნებს, ახლა ჩემ გარშემო არავინ ვიცი, სადმე მიდიოდეს საახალწლოდ“.

მერი დარბაისელი, კერძო სამედიცინო კლინიკა „მედექსპერტის“ თანამფლობელი: „მოსკოვში ჩვენი კლინიკა ერთი წლის გახსნილიც არ არის და კრიზისი დაგვემთხვა. რამდენიმე თვის გახსნილ კლინიკაში, ყველა სახის ექოსკოპიურ კვლევაზე 30%-იანი ფასდაკლება გამოვაცხადეთ, რადგან პაციენტები არ მოდიოდნენ. თავდაპირველად 50 სპეციალისტი მყავდა დასაქმებული კლინიკაში, ახლა კი მხოლოდ 37 დავტოვეთ. შემოსავალი არ იყო იმდენი, რომ მათ ხელფასს გავწდომოდით... არადა, ბოლო რამდენიმე თვეა, სახელმწიფო სამედიცინო სამსახურებიდან ვითომდა ოპტიმიზაციის საფუძველზე გაშვებული ექიმები მოგვაწყდნენ. დარჩენილებს 15 თებერვლამდე აქვთ ვადა, 40% გაუშვეს სამსახურებიდანო, ამბობენ. კომპენსაცია კი, მხოლოდ რამდენიმეს მისცეს.

500 ათასი რუბლი მისცეს მხოლოდ სერტიფიცირებულ ექიმებს, სანიტრებსა და ექთნებს კი 200-200 ათასი რუბლი. ჩვენ გარშემო 10-მდე კერძო და სახელმწიფო კლინიკა დახურეს და დღის სტაციონარები გახსნეს, სადაც პაციენტს გამოკვლევას უტარებენ, გადასხმებს უკეთებენ და დღის ბოლოს სახლში უშვებენ. საერთო ჯამში, კატასტროფულად შემცირდა პაციენტების რაოდენობა და ვინც მოდის, ისინიც იმიტომ, რომ მაღალი დონის უზუსტესი აპარატურა გვაქვს. სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც მომსახურება ვითომ უფასოა, ქრთამის გარეშე ზედაც არავინ შემოგხედავს და მთლიანობაში მეტი უჯდებათ. ერთმა პაციენტმა მითხრა, ჩემს ექიმს 1000 რუბლი ვაჩუქე და აგდებულად მითხრა, 2 კილო ხორცის ფასიც არ არისო“...

ზვიად სიჭინავა, ბიზნესმენი: „10-წელზე მეტია, ავტოსახელოსნო მაქვს სანქტპეტერბურგში და გასულ წელთან შედარებით 5-ჯერ იკლო კლიენტების რაოდენობამ, – ხალხს დამტვრეული და გასაკეთებელი მანქანები სახლში უყენია, რადგან სათადარიგო ნაწილებიც გაძვირდა და მომსახურებაც. მოსახლეობა მაქსიმალურად ზოგავს ფინანსებს. სიძვირე ყველაფერზე აისახა – გაძვირდა კომუნალური გადასახადები... მე და ჩემს პარტიორებს საბანკო კრედიტი გვაქვს აღებული, აქ უმეტესობა ასე აწარმოებს ბიზნესს. თითქმის ყველა ბანკმა პროცენტი 4-ჯერ გაზარდა და ეს რუბლის გაუფასურებით ახსნა. საბანკო კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოა, დიდ ბანკებს დაევალოს შედარებით მცირებიუჯეტიანი ბანკებისთვის კრედიტების გაცემა, მაგრამ არა მგონია, ამან ჩვენი გადარჩენა შეძლოს. იმდენად მძიმე მდგომარეობაა, რომ ჩემი პარტიორები, რომლებიც რამდენიმე მილიონიან ზარალში არიან გადავარდნილი, წილებს ყიდიან, რადგან ლამის თვითმკვლელობამდე არიან მისული“.

მანანა გელაშვილი, საკონდიტრო მაღაზია „მონოპოლის“ მფლობელი: „ყოველი დღის გათენებას შიშით ველოდებით, რადგან ყოველდღიურად თითო ობიექტს ვკარგავ, სადაც ჩემ მიერ წარმოებულ პროდუქციას ვაბარებდი გასაყიდად. ეს ეხება როგორც კაფებარებს, ასევე მარკეტებს. მათი ნაწილი ან დაიხურა, ან უბრალოდ პროდუქცია აღარ იყიდება. ძალიან მცირედით გავაძვირეთ პროდუქცია, რადგან სამჯერ გაიზარდა პურის ფქვილისა და სხვა საჭირო ნედლეულის ფასი. მეტს ვერ ვუმატებ, რადგან დარჩენილი კლიენტები მეუბნებიან, თუ კიდევ მოუმატებ, ალტერნატივას, უფრო იაფიან მომწოდებელს ვიპოვითო... ამას ისიც დაემატა, რომ მოსკოვის მერმა მეტროებში და მიმდებარე ტერიტორიებზე სურსათის მაღაზიები დახურა.

წინა წლებში, წინასაახალწლოდ, ერთი თვით ადრე ვიღებდი შეკვეთებს ტორტებსა და ნამცხვრებზე, ახლა კი, ხალხი პანიკაშია, – რუსული რუბლის კურსის დაცემის კვალდაკვალ, აქტიურად ყიდულობენ უცხოურ ვალუტას. განსაკუთრებული მოთხოვნაა ამერიკულ დოლარზე, ევროსა და შვეიცარიულ ფრანკზე“.

ლალი პაპასკირი

კაცობრიობის სამეფო სენი – ტერორიზმი!

აშშ-ის სენატის კომიტეტის (დაზვერვის საკითხებში) გადაწყვეტილებამ აშშ-ისა და მისი მოკავშირე ქვეყნების ციხეებში ტერორიზმში ეჭვმიტანილი პატიმრების წამების ფაქტების გასაჯაროებასთან დაკავშირებით, მსოფლიო მასმედიის ყურადღება მიიქცია. ორი და მეტი დღის განმავლობაში ბრიტანული ტელეკომპანია „BBC“, სხვა ტელეკომპანიები გულმოდგინედ უჩვენებდნენ წამების ამსახველ ვიდეოკადრებსა და ფოტოსურათებს – შემზარავი ფაქტის და მისი შემოქმედის აშშ-ის სპეცსამსახურების თანამშრომლებს.

კადრების მნახველს უმალ დაებადება კითხვა – ამის გამკეთებელი ქვეყანა, რატომ აძლევს თავს უფლებას სხვა ქვეყნის დემოკრატიის კაზუსებზე და ადამიანის უფლებების დარღვევაზე ილაპარაკოს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მრავალმა ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა გააკეთა განცხადება, მათ შორის, ჩვენთვის კარგად ნაცნობმა მაკკეინმა.

თავის მართლებით გამოვიდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფი ბრენონი, რომელმაც აღნიშნა, რომ ინფორმაციის მიღებისთვის გამოყენებულია უმკაცრესი დასჯის მეთოდები, მაგრამ, რომ არა გარკვეული სახის ზემოქმედება, აშშ-ის სპეცსამსახურები ვერ მიიღებდნენ ცნობებს მოსალოდნელ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით. ამ ცნობებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა.

ბრენონის განმარტებით, ის არ იზიარებს სასტიკი წამების მეთოდის გამოყენებას, მაგრამ ქვეყნის ინტერესები მოითხოვს დაკითხვის ისეთ მეთოდს, რაც მოიტანს საინტერესო ინფორმაციას. ამაზრზენმა ვიდეოკადრებმა თავისთავად დაბადეს კითხვა – დაისჯება თუ არა ვინმე იმჟამინდელი ხელსუფლებიდან – წამების ბრძანების გამცემი?

ამ კითხვას უმალ ნეგატიურად უპასუხა სახელმწიფო სამდივნოს „ღრმად განსწავლულმა“ პსაკიმ.

წამების ფაქტები არა მარტო აშშ-ის ცნობილ ციხე გუანტანამოში ხდებოდა და ხდება. მსგავსი რამ არის აშშ-ის მოკავშირე ქვეყნების (53) ციხეებშიც, იქ, სადაც ამერიკელთა ბრძანებით, ამერიკელთა მიერ დაჭერილი, ტერორიზმში ეჭვმიტანილი პატიმრებია განთავსებული. ჩამონათვალში უმეტესად ევროპის ქვეყნებია, მათ შორის, ლიტვა, პოლონეთი...

წამების ვიდეოკადრების მნახველს უდავოდ გაუჩნდება კითხვა – ქვეყანა, რომელიც მსგავსი მეთოდებით ცდილობს ეჭვმიტანილისგან ინფორმაციის მიღებას, ობიექტურად მიუდგება თბილისის ციხეებში პატიმრების საწამებლად ცოცხის ტარის გამოყენებას?

მართალია, პატიმრისთვის ცოცხის ტარის ანალურ არხში გარჭობა არაფრით ჩამოუვარდება ამერიკელთა მიერ გამოყენებულ წამების მეთოდებს, მაგრამ ტელეეკრანზე ნანახმა საშინელებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვიდეოკადრების საჯარო ჩვენებამდე „BBC“-ს კორესპონდენტმა ყოფილ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უმცროსს დაუსვა შეკითხვა – რამდენად მართებულად მიაჩნია მას წამების მეთოდი?

სწორედ ჯორჯ ბუშ-უმცროსის დროინდელ მოვლენებთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ობამამ აკრძალა მსგავსი რამ. გარდა ამისა, სენატის კომიტეტის მიხედვით, ჯორჯ ბუშ-უმცროსი ყველაფრის საქმის კურსში იყო.

ყოფილმა პრეზიდენტმა შეკითხვას ასე უპასუხა – „ისინი, ვინც პატიმრებისგან ინფორმაციის მიღებისთვის მკაცრ ზომებს მიმართავდნენ, არ არიან დასაძრახნი, ვინაიდან ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელ საქმეს აკეთებდნენ“.

მეორე დღეს, წამების ვიდეოკადრების გასაჯაროებისას, იგივე ჟურნალისტი ასეთ კომენტარს აკეთებს – „საინტერესოა, ყოფილი პრეზიდენტი ამ კადრების ნახვის შემდეგაც, ისეთივე კომენტარით შემოიფარგლებოდა?“ ჟურნალისტმა ისე გამოიყვანა, თითქოს აშშ-ის პრეზიდენტი სულაც არ იყო საქმის კურსში ციხეებში პატიმრების სასტიკი მოპყრობის თაობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბუშმაც იცოდა, რა სახის მეთოდებს იყენებდნენ ციხის ამერიკელი მუშაკები ინფორმაციის მიღებისთვის, და სააკაშვილიც საქმის კურსში იყო დასჯის მეთოდად ცოცხის ტარის გამოყენების თაობაზე.

სენატის კომიტეტმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ წამების გზით ინფორმაციის მიღებამ ვერ გააიოლა ტერორიზმთან ბრძოლა, ვერ შეამცირა ტერორისტული აქტები. თვალი გადავავლოთ ტერორისტული აქტების დინამიკას – 2013 წელს მსოფლიოში ათი ათასი ტერორისტული აქტი მოხდა, რაც 44%-ით მეტია, ვიდრე წინა წლებში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები.

ეს ინფორმაცია გაავრცელა ავსტრალია-აშშ-ბრიტანეთის ეკონომიკისა და მსოფლიოს ინსტიტუტმა. ინსტიტუტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ვერც ეპიდემია „ებოლა“ და ვერც უკრაინის მოვლენები ვერ ჩაითვლება ევროპის უსაფრთხოების ყველაზე დიდ გამოწვევად, ვიდრე ტერორიზმი.

2013 წელი, ტერორიზმის თვალსაზრისით, ყველაზე მაღალმაჩვენებლიანი იყო. მსგავსი არ ყოფილა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დაწყებული დღემდე. ტერორისტული აქტების მსხვერპლთა რაოდენობა 61%-ით გაიზარდა, წინა 2012 წელთან შედარებით. ტერორისტულ აქტებში 17958 ადამიანი დაიხოცა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2001 წლის11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, რაც ნიუ-იორკში და ვაშინგტონში მოხდა, ტერორიზმის მსხვერპლთა რიცხვი 5-ჯერ გაიზარდა.

ინფორმაციის მიხედვით, ტერორისტული აქტების გამრავლება სირია-ერაყის შიდა ომებს უკავშირდება. მსხვერპლის 80% მოდის ერაყზე, ავღანეთზე, პაკისტანზე, ნიგერიასა და სირიაზე. ტერორიზმის თვალსაზრისით ყველაზე „განვითარებულ“ ქვეყნად ერაყი ითვლება. 2013 წელს ტერორისტებმა იქ 2.5 ათასი ტერორისტული აქტი განახორციელეს, რომლის დროს 6.4 ათასი კაცი დაიხოცა.

ტერორიზმიდან დაშავებულ ქვეყნებს შორისაა რუსეთიც. მოხსენების მიხედვით, 2013 წელს ამ ქვეყანაში 120 ტერაქტი ჩატარდა, მსხვერპლი – 136 კაცი, 269 დაშავებული.

არა მარტო ტერორისტული აქტების რაოდენობა მატულობს, არამედ გეოგრაფიაც. თუ 2008 წელს ტერორისტული აქტები 19 ქვეყანაში განხორციელდა, 2013 წელს – 24-ში. ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს დაემატნენ ანგოლა, ბანგლადეში, ბურუნდი, ეთიოპია, ირანი, ისრაელი, მალი, მექსიკა, მიანმა, შრილანკა, უგანდა.

ტერორისტული თავდასხმების პასუხისმგებლობა ისეთ ორგანიზაციებზე ნაწილდება, როგორებიცაა: „თალიბანი“, „ბოკო-ჰარამი“, „ისლამური სახალიფო“, „ალ-ქაიდა“. ყველა მათგანის იდეოლოგია - ვაჰაბიზმის ექსტრემისტული ინტერპრეტაციაა.

ინსტიტუტის მიხედვით, ექსტრემისტებზე ზეგავლენის მოხდენა თვით ისლამის შიგნით უნდა მოხდეს და არა გარედან. გარედან რაც ხდება – ავიღოთ თუნდაც აშშ-ის და მისი კოალიციის მხრიდან „ისლამურ სახალიფოზე“ განხორციელებული საჰაერო თავდასხმები – ნაკლებეფექტიანია.

ჯიჰადის მებრძოლთა რაოდენობით „თალიბები“ გამოირჩევიან – 60000; „ისლამური სახალიფო“ – 20000; „ბოკო-ჰარამი“ – 9000; „ალ-ქაიდა“ – 19000. სხვა მონაცემების მიხედვით, დღეს ყველას „ისლამური სახალიფო“ აჭარბებს – მასში 200000 მეომარია.

„ისლამური სახალიფო“ ხასიათდება მაღალორგანიზებული სტრუქტურით, რომლის მიზანია დაპყრობილ ტერიტორიებზე გამოცხადებული „სახალიფოს“ განმტკიცება. ტერორისტები პერმანენტულად ღებულობენ თანამედროვე შეიარაღებას, ეკიპირებას, ავტომატ M4 და „ღამის ხედვის“ აპარატურას, აგრეთვე საზენიტო-რაკეტულ კომპლექსებს, რომლითაც თავისუფლად შეიძლება სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავების ჩამოგდება 6000 მეტრის სიმაღლიდან.

„ისლამური სახალიფო“ აღიარებულია ყველაზე მდიდარ ტერორისტულ ორგანიზაციად, წლიური შემოსავლით - 3 მილიარდი დოლარი. ძირითადი შემოსავალი – დაპყრობილი ტერიტორიებიდან ნავთობის გატანა შავ ბაზარზე და იაფად გაყიდვა. მეორე შემოსავალი – ბიზნესმენთა გამოძალვა.

„ისლამური სახალიფო“ იმითაცაა ცნობილი, რომ ამ „ქვეყნის“ „შეიარაღებულ ძალებში“ უცხოელებიც იბრძვიან, მათ შორის, არა მარტო მეზობელი ქვეყნებიდან, არამედ რუსეთიდან, ევროპიდან, აშშ-დან, კანადიდან, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან, კავკასიიდან. სულ ახლახან იქ დაღუპული საქართველოს მორიგი მოქალაქის გვარი გახდა ცნობილი.

დღითი დღე იზრდება არა მარტო „სახალიფოს“ სამხედრო ძალების რიგები, არამედ სამოქალაქო პირთა, განსაკუთრებით იმ სპეციალისტთა რაოდენობა, რომლებიც გათვითცნობიერებულნი არიან ინტერნეტის ნიუანსებში, პროპაგანდის წარმოების საქმეში. გახსოვთ, ალბათ, ტყვეთა სიკვდილით დასჯის (თავის მოკვეთა) სცენები, პროფესიონალი სპეციალისტების მიერ გადაღებული – რამდენიმე კამერით.

ინსტიტუტის მიერ მოყვანილი ინფორმაცია 2013 წელს მოიცავს, თუმცა წლევანდელი წელი გაცილებით შემაშფოთებელია გასულთან შედარებით არა მარტო ტერაქტების რაოდენობის თვალსაზრისით, არამედ გეოგრაფიით, სისასტიკით და ა.შ. რაზე მეტყველებს ყოველივე?

უპირველესად, იმაზე, რომ ვიღაცას ხელს აძლევს „სახალიფოს“ გაძლიერება, მისი პოზიციების განმტკიცება, ორგანიზაციის საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება. ეს, ვიღაცა, თქვენთვის კარგად ნაცნობი აშშ-ია, რომელმაც შექმნა (ისე, როგორც „ალ-ქაიდა“) და აკვანი დაურწია „ისლამისტურ სახალიფოს“ - სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

არაერთი წელი დახარჯა სირიის ოპოზიციის გაწვრთნაში აშშ-ის სპეცსამსახურებმა და „ჯებხატ ან ნუსრას“ („ალ-ქაიდას“ სირიის განყოფილება) გადაბირებაში.

აშშ-ის პოლიტიკას ახასიათებს მსგავსი რამ, ანუ მოწინააღმდეგესთან კავშირების დამყარება და იატაკქვეშა მოლაპარაკებების გამართვა. გავიხსენოთ ამერიკა-„თალიბანის“ წარმომადგენლების დოხის შეხვედრები, რომელთა მიმართაც ავღანეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ქარზაიმ კატეგორიულად ნეგატიური პოზიცია გამოხატა.

არც დღეს არის გამორიცხული იატაკქვეშა შეხვედრები, ოღონდ ამჯერად – „ისლამური სახალიფოს“ წარმომადგენლებთან. გაიხსენეთ მაკკეინისა და „სახალიფოს“ ლიდერების ერთად გადაღებული ფოტოები. ერთი მხრივ თეატრალიზებული საჰაერო დაბომბვები და, მეორე მხრივ – კვლავ ანტისირიული პოლიტიკა, თავისთავად გასცემს პასუხს იმ ჩახლართულ პოლიტიკას, რაც აშშ-ის სპეციალისტთა ტვინებში იგეგმება.

სიტყვით აშშ აცხადებს, რომ „ისლამური სახალიფო“ როგორც მისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის დიდი საფრთხის შემცველია და თუ მართლაც ასე თვლის აშშ, რატომ არ ცდილობს „ანტისახალიფო“ კოალიციას ირან-სირიაც მიუმატოს?

იბომბება სირიის ტერიტორია, რომელიც დაპყრობილია „სახალიფოს“ მიერ და სირიის ხელისუფლებას არავინ უთანხმებს ამას. აშშ-ს მიზანშეუწონლად მიაჩნია სირიის ხელისუფლებასთან კონტაქტის დამყარება, რაც ამ შემთხვევაში სრული უმეცრებაა.

რას უქადის რეგიონს და მსოფლიოს „ისლამური სახალიფოს“ მოძლიერება? უპირველეს ყოვლისა, ბაშარ ასადის ხელისუფლების დასუსტებას; მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორებას; ერაყის პატარ-პატარა ნაწილებად დაშლას და ქურთების სახელმწიფოს შექმნას; ირანის პოზიციების შესუსტებას და ვითარების ისე აბურდვას, ანუ ისეთი ქაოსის შექმნას, რასაც თვით ამერიკელები „მართვად ქაოსს“ უწოდებენ.

როდესაც სისტემატურად აკვირდები რეგიონში აშშ-ის პოლიტიკას, სხვა მოსაზრება ნამდვილად არ გაგიჩნდება. აშშ შორსაა. მას ჯერჯერობით პირდაპირი საფრთხე „ისლამური სახალიფოდან“, გარდა ვერბალურისა, არ ემუქრება. თითო-ოროლა ამერიკელი ჟურნალისტისთვის თავის მოკვეთაც არაფერია მისთვის. მთავარია, იმ პოლიტიკური დიდი ქაოსის შექმნა, რომლის საძირკველიც მისივე ძალისხმევით უკვე ჩაყრილია.

იხ. 8 გვ.

◎ ალიანჩალიანი

ზაზა ვაშაყმაძემ ვატიკანის ქრისტიანთა ერთობის ხელშემწყობი საპაპო საბჭოს პრეზიდენტი მიიღო

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ გუშინ ვატიკანის ქრისტიანთა ერთობის ხელშემწყობი საპაპო საბჭოს პრეზიდენტი კარდინალი კურტ კოხი მიიღო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან აცნობეს, ზაზა ვაშაყმაძემ კარდინალი კურტ კოხი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში თანმხლებ პირებთან ერთად მიიღო. კერძოდ, შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ვატიკანის საპაპო საბჭოს ოფიცერი ჰიასინტე დესტიველე, წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში, არქიეპისკოპოსი მარეკ სოლჩინსკი და ლათინ კათოლიკეთა ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო.

სააგენტოს ინფორმაციით, კარდინალმა სააგენტოს საქმიანობისა და გეგმების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განცხადებით, შეხვედრაზე ასევე განიხილეს კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის, კონფესიების დაფინანსებისა და რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის შესახებ.

კურტ კოხმა მადლობა გადაუხადა ზაზა ვაშაყმაძეს მიღებისათვის და ისაუბრა სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობაზე. აღნიშნა, რომ ამ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია ნდობა, თანხმობა და თანამშრომლობა. გამოთქვა იმედი, რომ სააგენტო ამ პროცესების სწორად წარმართვას ხელს შეუწყობს. ზაზა ვაშაყმაძემ სტუმრებს დამდეგი შობის დღესასწაული მიულოცა და თავიანთ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

ინტერპრესი

რა ამოაძრობს „საცობებს“ ქალაქის ქუჩებიდან?

რამდენიმე დღის წინათ თბილისის მერი დავით ნარმანია ირლანდიის დედაქალაქ დუბლინიდან დაბრუნდა, სადაც ორ ქალაქს შორის მომავალი თანამშრომლობის თაობაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს მოაწერა ხელი. საქმიან ურთიერთობათა ერთ-ერთი ასპექტი, როგორც ჯერ კიდევ გამგზავრებამდე ბატონმა დავითმა განაცხადა, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების სხვადასხვა ასპექტს მოიცავს, რომელიც ბოლო წლებში თბილისში მეტად სერიოზულ პრობლემად იქცა და რომელიც წლიდან წლამდე, თვიდან თვემდე სულ უფრო მეტად მძაფრდება.



დედაქალაქში სატრანსპორტო მოძრაობასთან დაკავშირებით შექმნილ რთულ მდგომარეობას, ცოტა ხნის წინათ ვრცელი საგაზეთო პუბლიკაცია მივუძღვენით (04.12.2014. № 245), სადაც ჩვენი რესპონდენტი თბილისის საკრებულოს ფრაქცია გაერთიანებული დემოკრატების წევრი შალვა ოგბაიძე გახლდათ. ჩვენი საუბრის დასრულების შემდეგ, ბატონმა ოგბაიძემ საკრებულოში გასამართ შეხვედრაზე მიგვიწვია, რომელზეც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს პაატა ჯაჭვლიანთან ფრაქციის წარმომადგენლები პრობლემასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხის განხილვას აპირებდნენ. ეს შეხვედრა გაიმართა კიდეც და მასზე ტრანსპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა დედაქალაქის ცენტრალური რაიონის ქუჩებსა და მოედნებზე არა მარტო პიკის საათებში, არამედ ზოგან უკვე თითქმის მთელი დღის განმავლობაში სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხებებთან თუ საცობებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მომავალში მათი გადაჭრის გზებზე ილაპარაკეს. გაერთიანებული დემოკრატების ფრაქციის წევრებსა და დამსწრე ჟურნალისტებს გააცნეს, თუ რა ხედვა აქვს მერიას საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებასა და გამართული მუშაობის ორგანიზებასთან დაკავშირებით, როგორ ხორციელდება სამანქანო მოძრაობისთვის სახიფათო ადგილების იდენტიფიცირება, საგზაო ნიშნების, „უსაფრთხოების ბორცვების“ განთავსება და მონიტორინგი. აღნიშნულის გარდა, შეხვედრაზე განიხილეს კიდევ მთელი რიგი საკითხი, მათ შორის, სამარშრუტო მიკროავტობუსების სატრანსპორტო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება, ქალაქში გადაადგილების ინტერაქტიური რუკა და კომპანია „ფორდის“ მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც მიკროავტობუსების ექსპლუატატორ კომპანიას მოძრაობის დროს მგზავრთა ფეხზე დგომის დასაშვებულობას ადასტურებს. შემდგომ კი დედაქალაქის მერიის სატრანსპორტო სამსახურის წარმომადგენლებს საკრებულოს ფრაქცია თავისუფალი დემოკრატების ახალი ინიციატივა გააცნეს, რომლის ფრთაშესხმით თბილისში სატრანსპორტო საცობების პრობლემის საგრძნობი შემსუბუქება იქნება შესაძლებელი (ამის თაობაზე დეტალური ლაპარაკი ჩვენ უკვე ნახსენებ წინა პუბლიკაციაში გვქონდა, თუმცა კი, მაინც გავიმეორებთ, რომ პროექტი გულისხმობს არსებული ბიუჯეტის ფარგლებში სწრაფი რეაგირების სამსახურებშორისი სწრაფი რეაგირების ჯგუფის შექმნას, რომელიც როგორც ქალაქის ინფრასტრუქტურის გრძელვადიან გეგმაზე იმუშავებს, ასევე სწრაფ რეაგირებას მოახდენს კონკრეტულ საცობთან დაკავშირებით).

სიმართლე გითხრათ, ამ შეხვედრის შემდეგ, ცოტა არ იყოს, გაურკვევლობის გრძნობა დამეუფლა, უფრო სწორად კი სავსებით მკაფიოდ ვიგრძენი, რომ დედაქალაქში არსებული სატრანსპორტო პრობლემა კიდევ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, არსებითად, ვერანაირად ვერ გადაიჭრება, რადგან, ყოველ შემთხვევაში, როგორც გავიგე, ყველაფერი სადღაც „ღრუბლებში ჩაკარგულ“ ინსტანციებში უნდა გადაწყდეს, ვინაიდან ბევრ რამეზე, რაც დღეს-დღეობით თბილისში ტრანსპორტის მოძრაობა სრულიად აუტანელს ხდის, არც მერიის სატრანსპორტო სამსახურს, არც, მით უმეტეს, საკრებულოს ერთ ცალკე აღებულ ფრაქციას, არანაირი ზეგავლენა არა აქვს. ეს ეხება, კერძოდ, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის ცალკე სამოძრაო ზოლების გამოყოფას, რაც საპატრულო პოლიციის პრეროგატივაა, უადგილო და გაუმართლებელი სამოქალაქო მშენებლობები (ამას, აბა, სამთავრობო დონეზეც ვერაფერს შველიან!), სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებულ უამრავ პრობლემას (დაშვებულზე მეტი მგზავრის აყვანას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სვლაგეზების დუბლირებას, მეტი მოგების მიღების მიზნით უსაშველოდ დაგრძელებულ მარშრუტებს, მათ მძღოლთა მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების ფაქტობრივ უგულებელყოფას), დღის განმავლობაში ახლომდებარე რაიონებიდან ფულის საშოვნელად ჩამოსული მძღოლების არაპროფესიონალიზმს და დედაქალაქის უბნების უცოდინრობას, მოუწესრიგებელ გზებსა და ამ „ნაფრონტალ“ გზებზე თავახდილ ჭებს, რომლებიც, თურმე, თბილისში 16 სხვადასხვა ორგანიზაციას (!) ეკუთვნის და ვიდრე ტრანსპორტის სამსახური მის პატრონს დაადგენს... მოკლედ, პრობლემა იმდენია, თან ისეთი, რომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის შვიდკაციანი (!) ჯგუფი მას ვერაფრით ვერ აუვა რიცხობრივი შემადგენლობა რომც გაუათმაგდეს!

— თუ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ თბილისში საცობები მხოლოდ პიკის საათებში იყო ხოლმე, ახლა ზოგიერთ ადგილას, ფაქტობრივად, მთელი დღის განმავლობაშია, — ამბობს მერის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელი **პაატა ჯაჭვლიანი.** — სადღეისოდ ქალაქში 453 ათას სატრანსპორტოს საშუალოებზე მეტია, რაც მოძრაობის ყველა ხელისშემშლელი ფაქტორის ერთობლიობის გათვალისწინებით, ძალიან ბევრია. თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ კოლაფსისკენ მიმავალ ქალაქში რეალურად, ჩვენთვის მხოლოდ გაისად თებერვლის მიწურულს გახდება ცნობილი, როცა სათანადო კვლევის შედეგები გვეცოდინება. თუ რატომაა, რომ ქალაქში ავტომანქანების მოძრაობა ასეა გაძნელებული, მარტო იმის თქმა კმარა, რომ ამჟამად თბილისის 42 ქუჩაზე საგზაო-სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. თანაც, საგზაო მოძრაობის სრულფასოვნად ორგანიზება სატრანსპორტო სამსახურის მცირედი ძალებით კი ისედაც შეუძლებელია, საამისოდ ცალკე ძლიერი სტრუქტურის შექმნა, რამდენიმე საქალაქო სამსახურის ერთ „ჭერქვეშ“ გაერთიანებაა აუცილებელი, მაგრამ დღემდე ლაპარაკს იქით საქმე ადგილიდან არ იძვრის.

სატრანსპორტო სამსახურის წარმომადგენელმა **დემურ გიორგაძემ** თბილისში საგზაო მოძრაობის ორგანიზებაზე ილაპარაკა, თუმცა კი, როგორ უნდა განხორციელდეს ყოველივე კონკრეტულად, ამის თაობაზე არაფერი თქმულა — დამსწრეებმა მხოლოდ ის გავიგეთ, რომ მუშაობა, ძირითადად, ორ — არქიტექტურულ-სამშენებლო და საორგანიზაციო მიმართულებებით უნდა წარიმართოს, თუმცა კი, ამის შესახებ ისედაც ცნობილი იყო. საკითხს ვერაფერი შემატა იმის აღნიშვნამაც, რომ თბილისის გზაჯვარედინებზე შუქნიშნების მუშაობის ავტომატურ რეჟიმზე გადაყვანა ორი წლის წინათ დაიწყო, რომ სატრანსპორტო „საცობი“ და „შეფერხება“ ერთმანეთისგან ტრანსპორტის ერთ ადგილზე წინწაუსვლელად გაჩერების დროით განსხვავებული ცნებებია, მძღოლთა კულტურა ძალიან დაბალია, ქალაქში გზების მშენებლობა ყოველთვის ჩამორჩებოდა და ახლაც ჩამორჩება სატრანსპორტო ნაკადების მოთხოვნებს, ასაშენებელია ახალი გზები, ესტაკადები, სიჩქარის დამგდები უსაფრთხოების ბორცვები, ასევე აუცილებლად საჭიროა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სადღეისოდ დედაქალაქში ყოველდღიურად 500-ზე მეტი ეგრეთ წოდებული ყვითელი ავტობუსი და ორ ათასზე მეტი მიკროავტობუსი მოძრაობს. წლევანდელ 1 მარტიდან საგზაო მოძრაობის წესებში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, საზოგადოებრივ ტრანსპორტს სხვასთან შედარებით უპირატესობა აქვს, თუმცა, მძღოლები ამ წესს არანაირად არ იცავენ, რაშიც საპატრულო პოლიციის თანადგომაა აუცილებელი, თუმცა კი, ამის სრულად აღმოფხვრა სადღეისოდ მსოფლიოს ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო.

ასევე ითქვა ისიც, რომ თბილისის ავტოპარკი ყოველწლიურად 8 პროცენტით მატულობს, ამდენად, თუ ყველაფერი ამ ტემპით გაგრძელდა, რაც, როგორც ჩანს, ასეც მოხდება რამდენიმე წელიწადში მანქანების რიცხოვნობა გაორმაგდება.

შეხვედრაზე განიხილეს დედაქალაქის ავტობუსების პარკთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები, აღინიშნა, რომ ახლო მომავალში მათი პარკი თითქმის მთლიანად განახლდება, ხოლო 2015 წლის მეორე კვარტალისთვის, მერიის სატრანსპორტო სამსახური წარმოადგენს დედაქალაქში საგზაო მოძრაობის მოწესრიგების საკუთარ გეგმას, რომელშიც წამყვანი როლი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას ექნება მინიჭებული. აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ყველაფერი მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებაზე, რაც სატრანსპორტო მოძრაობასთან დაკავშირებულ ყველა სფეროს ეხება, მათ შორის, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში სამარშრუტო მიკროავტობუსების საგზავრო ავტობუსებით თანდათანობით ჩანაცვლებას, მათთვის ცალკე სამოძრაო ზოლების გამოყოფას, სამარშრუტო ტაქსების მძღოლთათვის დღიური გეგმის შემცირებას, კიდურა გაჩერებებზე ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების მოწყობასა და დასასვენებლად აუცილებელი დროის დადგენას, გარეუბნებში იაფიანი (30-თეთრიანი) მარშრუტების დანიშვნას, რომლებიც ეგრეთ წოდებულ „საძინებელ“ მიკრორაიონებში გაიყვანენ მგზავრებს, რომლებმაც მანამდე მეტროთი ან ავტობუსით უნდა მივიდნენ, მომდევნო ორი საათის განმავლობაში კი ასეთი სამარშრუტო ტაქსებით უკვე უფასოდ იმგზავრებენ. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ **საქალაქო ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები ერთმანეთის კონკურენტები კი არ უნდა იყვნენ, არამედ ერთმანეთს უნდა ავსებდნენ და დედაქალაქში სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი სწორედ ეს არის.**

ოთარ ტურაბელიძე.

ბოლოთქმის მაგიერ. წინამდებარე მასალა უკვე მზად იყო, როცა თბილისში სატრანსპორტო მოძრაობასთან დაკავშირებით ბრიფინგი დედაქალაქის საკრებულოს კიდევ ერთმა წევრმა ალეკო ელისაშვილმა გამართა, რომელმაც ასევე ზემოაღნიშნულ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, თუმცა კი, განსაკუთრებული აქცენტი თბილისში ავტოპარკინგის „უგვირგვინო მეფის“ კომპანია „სითი პარკის“ ძველებურად თვითნებობის აღკვეთის აუცილებლობაზე გააკეთა, რომელმაც არა თუ ახალი სადგომები ააშენა, როგორც ეს წლების წინათ უნდა გაეკეთებინა, არამედ ახლა ფეხით მოსიარულეებს ტროტუარებსაც ართმევს! არადა, ჯერ კიდევ 22 აგვისტოს, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საჯაროდ განაცხადა, რომ „სითი პარკს“ საქმის გამოსასწორებლად ვადა სექტემბრის მიწურულამდე ჰქონდა...

რაო, ბატონებო, რა ხდება, იქნებ გაგვარკვიოთ!

ო. ტ.

◎ განცხადება

თბილისი თამარს ელის

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II-ს
საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს
საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს

საქართველოს უდიდესი მეფე თამარი, რომელიც ატარებდა მონარქი ქალისთვის მსოფლიოში ყველაზე დიდ ტიტულს, „მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი“ და მოიხსენიებდნენ, როგორც „დიდებას სარწმუნოებისას“, დავით აღმაშენებელთან ერთად არის ერთიანი მძლავრი ქართული სახელმწიფოს სიმბოლო.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება ითხოვს, მადლიერმა შთამომავლობამ საკადრისი პატივი მიაგოს ჩვენს დიდ მეფეს და დაბადებიდან საიუბილეო 855 წლისთავზე თბილისში, შესაფერის ადგილზე დაიდგას თამარ მეფის ძეგლი. მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან შეიქმნას ჟიური და საკონკურსო წესით გამოვლინდეს საუკეთესო სკულპტურული ნამუშევარი.

დავით შემოქმედელი,
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი.

◎ ალიანჩალიანი

საბაჟოებზე აკრძალული ნივთიერებები შემოჰქონდათ

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ნარკოტიკისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტის შემოტანის ფაქტები გამოავლინეს.

გამშვებ პუნქტზე „სადახლო საავტომობილო“, სომხეთის მოქალაქე ხ.ა.-ის ავტომანქანის დათვალიერებისას, 2,69 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა აღმოჩნდა. საქმე შემდგომი რეაგირებისათვის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოს გადაეცა.

მარიხუანას შემოტანის ფაქტი გამოავლინეს მებაჟე ოფიცრებმა, სგპ „ნინოწმინდაზე“. სომხეთის მხრიდან შემოსული საქართველოს მოქალაქე ა.მ.-ის ავტომობილის დათვალიერებისას 1,22 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება აღმოჩნდა და საქმე შემდგომი რეაგირებისათვის შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურს გადასცეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სგპ „სადახლო-საავტომობილოს“ ტერიტორიაზე სომხეთის მხრიდან შემოვიდა რუსეთის მოქალაქე მ.ა., რომლის კუთვნილი ბარგის დათვალიერებისას აღმოჩენილ იქნა ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი LIRIKA — 5 კაფსულა. საქმე შსს საპატრულო პოლიციის საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ინტერპრესი

იური ბუზიაშვილი: კარდიოლოგია მედიცინის ლიტერატურაა!

ჩვენ სტუმარს, ცნობილ კარდიოლოგს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს იური ბუზიაშვილს წელს 60 წელი შეუსრულდა. მივულოცეთ ნიჭიერ მედიკოსს ეს თარიღი და ვთხოვეთ ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

– იური იოსების ძევ, დაწყებული ახალგაზრდობიდან დღემდე, რომელ მიზნებს მიიჩნევდით ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვნად და პრიორიტეტად თქვენთვის?

– ეს მიზნები იყო, არის და დარჩება უცვლელი: ესაა ჩემი ახლობლების და ყველა იმათი ჯანმრთელობა, ვინც დახმარებისთვის მომმართა. როგორც ერთმა პოეტმა თქვა: „ერთსა გთხოვ, უფალო: დაიცავ ის ხალხი, ვინც მიყვარდა და ვისაც ვაფასებ!“ ეს სიმართლეა.

– ხშირად მიმართავთ ცხოვრებაში თქვენი მასწავლებლის, გამოჩენილი კარდიოქირურგის აკადემიკოს ვ.ი. ბურაკოვსკის გაკვეთილებს?

– მე მათ არ მივმართავ. მე მათით ვცხოვრობ მუდმივად, ყოველდღე და მთელი დღე-ღამის განმავლობაში. ნებისმიერი ექიმი თავისი ცხოვრების გარდა, გარკვეულწილად ცხოვრობს თავისი პაციენტების ცხოვრებითაც. სხვაგვარად ურთიერთნდობა არ გამოვა, ურომლისოდაც, აღვნიშნავ განსაკუთრებული ხაზგასმულობით, მეტად რთულია მთლიანად გამოაჯანმრთელო ავადმყოფი.

ორი ადამიანი შემოვიდა ჩემ ცხოვრებაში არა მხოლოდ როგორც აბსოლუტური პროფესიონალები და ბრძენი დამრიგებლები, არამედ, როგორც ცხოვრების ნათელი ორიენტირები – ესენი არიან მამაჩემი, უნიჭიერესი ექიმი იოსებ ბუზიაშვილი და ვლადიმერ ბურაკოვსკი. მათ, ფაქტობრივად, მაზიარეს მე პროფესიას, ამიხსნეს მისი ჭეშმარიტი აზრი! ამ აზრის სიღრმე ზუსტად შენიშნა ჯერ კიდევ რ.კიპლინგმა: „მეფესთან ყოფნის დროს შეინარჩუნოთ ხალხთან კავშირი!“

ვლადიმერ ბურაკოვსკი ამ კავშირს ყოველთვის იცავდა. პაციენტებს შორის მისთვის არ არსებობდა სოციალურ ფენებად დაყოფა და კატეგორიები: მას ერთნაირი პატივისცემით შეეძლო მიეწოდებინა თავის მისაღებში პალტო ცენტრალური კომიტეტის წევრისთვისაც და უბრალო შვეიცარისთვისაც მის საყვარელ რესტორან „არაგვიდან“. ეს იყო არა პოზა, არამედ როგორც მისთვის დამახასიათებელი შინაგანი ტაქტის გამოვლინება და, თუ გნებავთ, დადასტურება ცნობილი ჭეშმარიტებისა – „ადამიანი ადამიანის მეგობარია!“

ერთხელ ბურაკოვსკიმ მე მიჩვენა, რომ ეს არის რეალური და არა პროპაგანდისტული მტკიცება. მითხრა როგორღაც უბრალოდ და მკაფიოდ: „ჩემო იურა, ხალხი უნდა გიყვარდეს“. მისი ამ რჩევის ერთგული ვარ მთელი ცხოვრების განმავლობაში. ვცდილობ, გადავცე იგივე ჩემს მოსწავლეებსა და კოლეგებს.

– ბატონო იური, როგორც ვლადიმერ ივანეს ძის ახლობელ ადამიანს შეგიძლიათ გვიამბოთ, როგორი იყო ის ინსტიტუტში?

– ჩვენი პროფესიისადმი ვლადიმერ ივანეს ძე ბურაკოვსკის ყველა ნოვატორული მიდგომის ჩამოთვლაც კი შეუძლებელია: ისინი ძალიან ბევრია. ამიტომ შევეცდები, გამოვყო ის ძირითადი, რასაც ცდილობდა, რომ ჩაენერგა ჩვენთვის, თავისი მოწაფეებისთვის, და რაშიც იყო თანამიმდევრული და უკომპრომისო.

მისი მთავარი წესი ან, თუ გნებავთ, „ბრენდი“, იყო ყოველდღიური თავდაუზოგავი მუშაობა უახლესი, ჯერ კიდევ სრულიად შეუსწავლელი გამოკვლევების მიმართულებებზე. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრობლემებისადმი ასეთი მიდგომის შედეგი, მაგალითად, გახდა თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი კლინიკების სპეციალისტებთან 70-იან წლებში. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა ამერიკელი კოლეგების რაიმე „დომინირების“ გარეშე.

ესე იგი, მაშინ არსებული არასაკმარისი სამამულო ტექნიკური დონის კომპენსირებას საბჭოთა მხარე ახდენდა თავისი უნარით, დაბეჯითებითა და პროფესიონალიზმით. როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

70-იანი წლების ბოლოს მე, ერთობ ახალგაზრდა სპეციალისტი, ვმონაწილეობდი საბჭოთა კავშირ-ამერიკის სიმპოზიუმში თანდაყოლილი გულის მანკის პრობლემებზე. გავიცანი გამოჩენილი ამერიკელი ექიმი-კარდიოქირურგები. მათ შორის, პროფესორი დ.ბენსონი და პროფესორი გ.დანიელსონი. მე ვხედავდი, როგორი უღრმესი მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ ისინი ვლადიმერ ბურაკოვსკის. ეს მეც, ჩემს კოლეგებსაც, ასევე მის მოწაფეებს, დიდ სიხარულსა და კმაყოფილებას გვანიჭებდა, ამაღლებდა ჩვენი, როგორც ექიმებისა და თავისი ქვეყნის მოქალაქეების, პრესტიჟს.

და კიდევ: ბატონი ვლადიმერი გვასწავლიდა დამრიგებლური ტონის გარეშე, სიყვარულით, პირადი მაგალითით. მუდმივად მიმართავდა ცხოვრების გამოცდილებასა და თავისი მასწავლებლების გამონათქვამებს. ბევრი მეცნიერი, ვისაც მან პროფესია გაუხსნა, ყველა დარგის მომდევნო მიღწევას მის სახელს დაუკავშირებს.

მას შეეძლო თავიდან აეცილებინა „ვაი ჭკუისაგან“ იმიტომ, რომ შეეძლო სიყვარული – უყვარდა ის, რასაც მისდევდა მეცნიერებაში, რასაც თავის დანიშნულებად მიიჩნევდა. მისი ცხოვრების არსი იყო გამოთქმა: „ადამიანს არ უნდა აწყენინო, ადამიანები უნდა გიყვარდეს“. მან შეძლო ინსტიტუტის დირექტორის ოფიციალური კაბინეტი სასიამოვნო სტუმართმოყვარე სახლად ექცია. მეგობრობა – მისთვის ეფემერული ცნება როდი იყო. ის ყოველთვის მეგობრული ურთიერთობის ერთგული იყო. ჩქარობდა, რომ გაეზიარებინა გამოცდილება და ბედნიერი იყო, როდესაც მისი ესმოდათ. მას შეეძლო ჰყვარებოდა და ყოფილიყო საყვარული ადამიანი. არა მგონია, ბევრს შეეძლოს მთელი უფლებით თქვას, რომ ერთ პიროვნებაში ჰყავდათ მეგობარიც, მასწავლებელიც, საყვარელი ადამიანიც.

–კარდიოლოგია პროგრესირებადი მეცნიერებაა. რომელ ტენდენციებს მიიჩნევთ პერსპექტიულად და იმედისმომცემად?

– კარდიოლოგია ჩემთვის –ესაა ლიტერატურა მედიცინაში. მართლაც, მკურნალობის მეცნიერების ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი დარგია, რაც დღევანდელი ცხოვრების რეალიებითაა განპირობებული. და რეალიებით, ჩემი აზრით, არა ყოველთვის ოპტიმისტურით: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს მსოფლიოში უკავიათ პირველი ადგილი სიკვდილის მიხედვით, სამწუხაროდ.

დღეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები განიხილავენ, მაგალითად, არის თუ არა ჩვენი ორგანიზმის დაბერება აბსოლუტური და გარდაუვალი აუცილებლობა, თუ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვიქონიოთ ჩვენი ფიზიკური, შემოქმედებითი საქმიანობის გახანგრძლივების, ესე იგი თვით სიცოცხლის გახანგრძლივების იმედი? პლანეტაზე ბუნებრივ დღეგრძელთა დიდი ოდენობა გვიჩვენებს, რომ „კი“ გვაქვს ასეთი უფლება! მედიცინის სხვა დარგებთან ერთად კარდიოლოგია სწორედ ამ დიდი ინტრიგის ამოცნობაზე მუშაობს.

ყოველ სამ-ოთხ წელიწადში კარდიოლოგიაში ჩნდება გულ-სისხლძარღვთა სენის მკურნალობის პროგრესული და „გარღვევითი“ მეთოდები, თანაც ნაკლებად ტრავმატული მკურნალობისა. როდესაც ვკურნავთ ადამიანს, ჩვენ, არსებითად, ამით ვუხანგრძლივებთ მას სიცოცხლეს, და მის ახლობლებსაც. ეს ერთი.

მეორეც, კარდიოლოგებს სამართლიანად აკუთვნებენ ექიმთა იმ კატეგორიას, რომლებიც თავის ცხოვრებას უმორჩილებენ წესს: „ვისაც მეტი აქვს – მისგან მოთხოვნაც მეტია!“ მეც, ჩემი კოლეგებიც, ვცდილობთ გავამართლოთ და შევასრულოთ ეს წესი. დღეს, მაგალითად, დასავლეთში იმ საქმიან პარტნიორებთან ყოფნა რაიმე მოლაპარაკების მაგიდასთან, ვინც დიდი ხანია, გადააბიჯა „სამოცდათხუთმეტ წელს“, არავის აშფოთებს. პირიქით, ეს ხალხი წლებთან ერთად ამრავლებს თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ბევრი რამ იცის იმის შესახებ, რაზეც მათი თანამშრომლები შემდგომში ისწავლიან. ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული ადამიანების ყოფნა როგორც ოჯახში, ისე სამსახურში, აკეთილშობილებს გარშემომყოფებს. ეს, უსათუოდ, პოზიტივია და პროგრესი ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში, რის მიღწევაშიც ჩემი კოლეგა-მედიკოსების შრომა უდავოა.

– რატომაა, რომ თქვენი შეხედულებით, კარდიოლოგიაში „ტექნიკურ პროგრესს“ ხშირად უსწრებს „ხელქმნილი“ შემოქმედება? რატომაა, რომ „ძველი სკოლის“ ბევრი ნიჭიერი სპეციალისტი ყოველთვის ვერ ახერხებს მონახოს ახალგაზრდა საქმის გამგრძელებელი? და როგორ აფასებთ დღევანდელი სამედიცინო კადრების მომზადებას?

– ჩვენ დროში ტექნიკური პროგრესის გარეშე ვერც ერთი მეცნიერება ვერ განვითარდება. მით უმეტეს – მედიცინა. მაგრამ აუცილებელია გავიგოთ, რომ ნებისმიერი ხელსაწყოს დამუშავებაც, შექმნასაც, მართვასაც კონკრეტული ადამიანები აწარმოებენ. ამიტომ შიში იმის გამო, რომ პოლიკლინიკაში მიღების დროს ჩვეულებრივი თერაპევტის ნაცვლად თქვენ მიგიღებთ ლითონის უსულგულო რობოტი, არ ღირს. გაცილებით მნიშვნელოვანია შეკითხვის ის ნაწილი, სადაც სვამთ კითხვას კადრების სრულფასოვანი როტაციისა და მათი პროფესიული გამოსადეგობის ხარისხის შესახებ. რატომ?

მე როდი ვარ უკმაყოფილო მედიცინის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მომზადებით, კერძოდ (თუმცა, ზოგიერთი პერსონის დონე ზოგჯერ უბრალოდ გაშინებს), უკანასკნელ ხანებში მეშინია ქვეყნის მომავლისა მთლიანად.

თუ დავეთანხმებით მტკიცებას – „კადრები წყვეტენ ყველაფერსო“, უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ აქ ჩვენ ძალიან ვაგებთ. მედიცინა გამონაკლისი არაა. მაგრამ მედიცინა ხომ საზოგადოების მდგომარეობის ნაწილია. თუ გნებავთ – მისი სოციალური სურათი. სურათი ჯერჯერობით არა ყველაზე ნათელი. რა უნდა გავაკეთოთ, რომ შევცვალოთ საზოგადოებაში ეს შეგრძნება? უნდა ვიმუშაოთ! სტუდენტებისთვის – ეს ბეჯითი სწავლაა. დიპლომიანი პრაქტიკოსებისთვის – ესაა მიღებული ცოდნის მუდმივი სრულყოფა კლინიკებში; და ეს არის არა ბანალობა, არამედ უწყვეტი განათლება, რომელიც მსოფლიოს ყველა წამყვან სახელმწიფოში ექიმის ცხოვრების აბსოლუტურად განუყოფელი ნაწილია. ჩემს განყოფილებაში მე შევეცადე მექცია ეს უცილობელ წესად. ვფიქრობ, გამომივიდა...

– სხვათა შორის, თქვენი კოლექტივი მართლაც გამოირჩევა იშვიათი სტაბილურობით. თქვენთვის რას აქვს დიდი მნიშვნელობა კოლეგებთან ურთიერთობაში?

– გმადლობთ შეფასებისთვის, თუმცა, აბსოლუტური სტაბილურობა არ შემხვედრია არსად, ოჯახებშიც კი. კოლეგებთან ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვნად წესიერება და სიკეთე მიმაჩნია. ექიმი ვალდებულია იყოს კეთილი, თვითმყოფილი, რის შესახებაც დღევანდელი დღის პირობებში საუბარი, სამწუხაროდ, არ გვიწევს, და პატიოსანი. ესაა მთავარი თვისება არა მხოლოდ კოლეგებთან, არამედ, უწინარეს ყოვლისა, პაციენტებთან ურთიერთობაში. და პროფესიის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი.

– არ გეშინიათ, რომ შედეგად თქვენს მახლობლად გამოზრდით თანამშრომელს, რომელიც აღმოჩნდება უფრო მეტად პროფესიონალი, ვიდრე მისი ხელმძღვანელი? რა იქნება მაშინ?

– ნებისმიერი ხელმძღვანელის ან, თუნდაც მასწავლებლის ოცნებაა – მისცეს საზოგადოებას ღირსეული სპეციალისტი და უბრალოდ წესიერი ადამიანი. თუ ჩემი თანამიმდევრები შეძლებენ გახდნენ უფრო წარმატებულები პროფესიაში, მეცნიერებაში, ვიდრე მათი დამრიგებელი, მხოლოდ გამიხარდება. ეს სიმართლეა. ცოდვაა, ეს სურვილი რომ არ გქონდეს.

მამაჩემი, სამოცდაათი წელი რომ შეუსრულდა, მეუბნებოდა: „მხოლოდ ახლა ვგრძნობ, შვილო, რომ ნამდვილი ექიმი ვარ!“ შესაძლებლობას – ვიგრძნო თავი ნამდვილ ექიმად წლების შემდეგ, მეც ვუსურვებ ჩემს თავს, ჩემს ქალიშვილსაც, ისიც კარდიოლოგია, და ჩემს კოლეგებსა და მოწაფეებს.

– თქვენ გამოსვლებში საუბრობთ ხოლმე პრაქტიკული კოორდინაციის შესახებ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებთან, მაგალითად, ხელოვნური სისხლძარღვების შექმნის შესახებ. არის მიღწევები?

– ნებისმიერი სურვილი, მიაღწიო რაიმეს – უკვე არის თავად პროგრესის დასაწყისი. სხვა საქმეა, თუ როგორ ხდება ეს ყველაფერი რეალურ ცხოვრებაში.

წვრილმანებს რომ თავი ავარიდო, შევნიშნავ, რომ დღეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემია საუკეთესო პერიოდს როდი განიცდის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთობ მაღალ დონეზე განიხილებოდა – ღირს განა სახელწოდებაში დავტოვოთ სიტყვა „მეცნიერება“! ამიტომ ჩემ კოლეგებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიიდან დღეს ხელოვნური სისხლ-ძარღვებისთვის არ სცალიათ (რომლებიც, სხვათა შორის, უკვე შექმნილია)...

– თქვენი გეგმებიდან კიდევ რა არ თავსდება ჩვეულებრივი სამუშაო დღის ფარგლებში?

– უკიდურესად იშვიათად ვარ ხოლმე კონსერვატორიაში, თუმცა, ცოცხალი მუსიკა ძალიან მიყვარს და ბევრ ცნობილ მომღერალთან, მუსიკოსთან, კომპოზიტორთან ვმეგობრობ. საერთოდ, ყოველთვის მიხარია შეხვედრები მეგობრებთან, თანამემამულეებთან და, უბრალოდ, ღირსეულ ადამიანებთან, ჭკვიან თანამოსაუბრეებთან. ვწუხვარ, რომ ამისთვის ყოველთვის არ მყოფნის დრო. მიხარია ჩემი მოწაფეების წარმატებები და ვოცნებობ, რომ წარმატებები იყოს გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე წარუმატებლობანი. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც ყველა ადამიანთან.

– ბატონო იური, რას უსურვებდით საკუთარ თავს საიუბილეო წელს?

– მინდა, აღმოვაჩინო ადამიანის გონებაში „ახალგაზრდობის ელექსირის“ რეცეპტი ანდა ვიცოცხლო ამ დრომდე. ადამიანის ტვინის შესაძლებლობანი ხომ ამოუწურავია და ბოლომდე არაა შესწავლილი მეცნიერების მიერ. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ვნახოთ რა მოხდება.

– ჯერ კი ვიოცნებოთ?

– ჯერ ვიოცნებოთ...

ესაუბრა
იური დანილინი

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

„ლიტერატურნაია გაზეტას“ დოსიე:

იური იოსების ძე ბუზიაშვილი დაიბადა ქ.ქუთაისში 1954 წლის 5 მაისს.

არის ექიმი-კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი (1993), რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2004), აკადემიკოსი (2007), რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (2006), მიღებული აქვს რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2003), ა.ნ.ბაკულევის სახელობის პრემია (2002), ღირსების ორდენი (2002), რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2013).

დაამთავრა მოსკოვის ი.მ.სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1977), კლინიკური ორდინატურა (1977-1979), შემდეგ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა.ნ.ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ასპირანტურა (1979-1982).

იყო უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1982-1988), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1988-1989), ა.ი.ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1989), ამჟამად სამეცნიერო ცენტრის კლინიკურ-დიაგნოსტიკური განყოფილების ხელმძღვანელია. 1999 წლიდან დღემდე არის რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა.ნ.ბაკულევის კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. 2011-2013 წლებში – ქ.მოსკოვის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის მთავარი კარდიოლოგი. არის ჟურნალ „კარდიოლოგიჩესკაია ტერაპია ი პროფილაქტიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

არის 650-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათგან 18 მონოგრაფიის, 7 სახელმძღვანელოს ავტორი.

◎ საფრთხე №1

კაცობრიობის საშიში სენი – ტერორიზმი!

(მეხუთე გვერდიდან)

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ვაჰაბიზმისა და სალაფიზმის ირიბი თუ პირდაპირი მხარდამჭერი და დამხმარე აშშ-ის სპეცსამსახურები და მათი ძალისხმევით სპარსეთის ყურის მონარქიული რეჟიმებია, რომლებიც ფულს არ იშურებენ ანტიასადური, ანტიირანული პოლიტიკის საწარმოებლად.

საქართველოს ომბუდსმენის აპარატის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ, ლაფანყურის ამბებთან დაკავშირებით, თქვა ის, რის შესახებაც გაცილებით ადრე ამბობდნენ ამერიკელი ექსპერტები: საკაშვილის ხელისუფლების აქტიური დამოკიდებულება ტერორისტ ექსტრემისტებთან, ბოევიკებთან, მათი შემდგომი გამოყენების მიზნით, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე სირიაში.

ის, რომ ჯიჰადისტები აქ გადიოდნენ ტრენინგს, ფაქტია, ისე, როგორც მათი შემდგომი გადაადგილება სირიისკენ. სხვადასხვა მონაცემებით, სირიაში, ანუ სირიის ტერიტორიაზე არსებული „ისლამური სახალიფოს“ სამხედრო ძალებში ასობით საქართველოს მოქალაქე იბრძვის. მათი, ისე, როგორც იქ მებრძოლი სხვა ქვეყნების მეომართა სამხედრო საქმიანობა, როტაციულ სისტემას ექვემდებარება. გარკვეული საბრძოლო მოქმედებების შემდეგ, ჯიჰადისტები სამშობლოს უბრუნდებიან. დაბრუნებულები ჯერჯერობით ნელი მოქმედების ნაღმებია. სწორედ ამიტომ ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ გაამკაცრა კანონი ეჭვმიტანილი ჯიჰადისტების მიმართ, რომლებიც „სახალიფოდან“ ბრუნდებიან.

„სახალიფოს“ მიერ გავრცელებული ცნობებით, მიმდინარეობს ბიოლოგიური „ჯიჰადის“ ათვისებაც, რაც მარტივად შემდეგში გამოიხატება – ჯიჰადისტების მივლინება აფრიკის იმ ქვეყნებში, სადაც დაავადება ებოლა მძვინვარებს, დაავადებულებთან ფიზიკური კონტაქტის დასამყარებლად. დაავადებული ჯიჰადისტი შემდეგ სხვა ქვეყანაში მიემგზავრება იქაურთა დასაავადებლად.

„სახალიფოს“ „პროექტი“ უდავოდ საყურადღებოა და არავინ იცის, რას მოუტანს მსოფლიოს ესოდენ მზაკვრული ბიო-ტერორისტული აქტი. „სახალიფოს“ არსებობა თავისთავად ქმნის თავის ტკივილს, რომლის გასაყუჩებელი აბი ჯერაც არ გამოუგონიათ.

თუ აშშ-ისა და მის მიერ შექმნილ კოალიციას, რომელიც 50-ზე მეტ სახელმწიფოს ითვლის, გადაწყვეტილი აქვს ტერორიზმთან შეურიგებელი ბრძოლა, მაშინ ამ ბრძოლაში რუსეთის, ირანის და სირიის ჩართვა აუცილებელია. მით უმეტეს ირანის, რომელიც ყოველდღიურად, პროფესიონალურად ებრძვის სუნიტურ ვაჰაბიზმს, სალაფიზმს, ანუ მოჭარბებულად ექსტრემისტულ ისლამს.

თავის მხრივ სუნიტური „ისლამური სახალიფოს“ ნომერ პირველ მტრად ქრისტიანობა, შიიტური ირანი, ალავიტური (შიიზმთან დაახლოებული აღმსარებლობა) სირიაა გამოცხადებული. სწორედ ამ ორთან ბრძოლის წარმოების მიზნით გააერთიანა მთელი რიგი ტერორისტული დაჯგუფებები აშშ-მა და არა მარტო გააერთიანა, იდეოლოგიურ-ფინანსურ-სამხედრო „ოყნაც“ გაუკეთა „კეთილშობილური“ ომის საწინააღმდეგოდ.

მას შემდეგ ვითარება შეიცვალა – გუშინდელი მასწავლებელ-მოსწავლე, დღეს ერთმანეთს ემტერება, მაგრამ რამდენად სერიოზულად – ჯერჯერობით უცნობია. ყოველ შემთხვევაში ამერიკელთა „ისლამურ სახალიფოზე“ მიტანილი იერიშები უფრო კოღოს ნაკბენს ჰგავს, ვიდრე გადამწყვეტ სამხედრო ოპოზიციას.

როგორც აღვნიშნე, არავითარი სერიოზულობა არ არის იმაში, როდესაც ირან-რუსეთ-სირიიას ანტიხალიფატურ ბრძოლაში არ რთავ, არადა, ირანის შიიტური ფაქტორი უდავოდ გასათვალისწინებელია. თვით ზემონახსენები ინსტიტუტის ანგარიშში გარკვევით არის აღნიშნული, რომ სუნიტურ „სახალიფოსთან“ ბრძოლა თვით ისლამის შიგნით უნდა მოხდეს და არა გარედან ბომბებით.

ირანული შიიტური ფაქტორი კავკასიაშიც, კერძოდ საქართველოშიც არის გასათვალისწინებელი. აქ კი რა ხდება? უკუქმედება შეიმჩნევა. საქართველოს მუსლიმანთა მიერ დასახლებულ ტერიტორიებზე იშვიათობას არ წარმოადგენს ვაჰაბიზმი და სალაფიზმი. და როგორც ამ საკითხში ღრმად ჩახედული უცხოელი სპეციალისტები აცხადებენ, მათი რიცხვი არა თუ კლებულობს, არამედ - პირიქით.

ვაჰაბიტების და სალაფიტების წინააღმდეგ თავის სიტყვას ამბობს საქართველოში არსებული ირანული შიიტურ-რელიგიური დაწესებულებები, რომლებიც თავიანთი ძალისხმევით ეწინააღმდეგებიან ექსტრემისტულ ისლამს. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ირანულ-შიიტურ რელიგიურ ორგანიზაციებს მოქმედების საშუალება მიეცეს, ხელისუფლება პირიქით იქცევა. როდესაც შენ არ შეგწევს უნარი ებრძოლო ვაჰაბიტებსა და სალაფიტებს, სხვას მაინც არ უნდა შეუშალო ხელი, რომ შენი გასაკეთებელი საქმე გააკეთოს.

„სახალიფოსთან“ ბრძოლაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს რუსულ-ქართულმა მართლმადიდებლობამ, აზერბაიჯანულმა, ირანულმა შიიზმმა, სომხურმა გრიგორიანობამ. მართალია, სომხეთიდან არც ერთი ჯიჰადისტი არ არის დაფიქსირებული „სახალიფოში“, მაგრამ ამ „სახალიფოს“ იდეოლოგიაში ხომ ყველა „უწმინდურის“, უპირველესად, ქრისტიანის წინააღმდეგ ბრძოლაა გამოცხადებული. „სახალიფოს“ გეგმებში, მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის, კავკასიაში მისი გავლენის გაფართოებაა ჩადებული.

ერთი რელიგიის მეორის წინააღმდეგ ამხედრება, საძრახი საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამასთან არ გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში თვით ისლამისთვის მიუღებელ ექსტრემიზმთან, ვაჰაბიზმთან, სალაფიზმთან გვაქვს საქმე და არა სუნიზმთან.

აშშ-ის სენატის კომიტეტის მიერ გასაჯაროებულმა მასალებმა, წამების ამსახველმა და შემზარავმა, შეაძრწუნა საზოგადოება, მეტადრე ექსტრემისტულ-რეაქციული ისლამი, რომელმაც სამაგიეროს გადახდა გამოაცხადა. აშშ მათ რეაქციას ელოდება, ამიტომაც პრეზიდენტმა ობამამ უსაფრთხოების ზომების გაათკეცებისკენ მოუწოდა საზღვარგარეთ არსებულ ამერიკის დიპლომატიურ დაწესებულებებს. მაგრამ ამ ღონისძიებით მოხდება რამე კარდინალური, რეაქციული ისლამის საწინააღმდეგოდ, რომლის ერთ-ერთი, მე ვიტყოდი მთავარი იარაღი – ტერორიზმია.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ წარდგინება

„ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი“

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა სამხედრო-სამეცნიერო ნაშრომის – „ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი“ – წარდგინება, რომელსაც, სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, სამოქალაქო პირებიც დაესწრნენ.

პროფესიით სამხედრო ქიმიკოსმა, კრწანისის სამხედროსასწავლო ცენტრის საინჟინრო სკოლის უფროსმა ინსტრუქტორმა **ელგუჯა ურუშაძემ,** თითქმის ათი წელი, გულმოდგინედ იღვაწა ხსენებული ნაშრომის შესაქმნელად. ავტორი დარწმუნებულია, რომ ეს წიგნი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საქმეში, ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს ამომწურავი ინფორმაცია ექნებათ ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის საბრძოლო თვისებებზე. მით უფრო, რომ საქართველო მიისწრმაფვის „ნატოში“ გაწევრებისკენ, რაც თავისთავად გულისხმობს მის სტანდარტებთან მიახლოებას. „ნატოს“ წევრი ქვეყნები ხომ უდიდეს ყურადღებას უთმობენ მასობრივი დაზიანების (განადგურების) იარაღისგან დაცვას. მსოფლიოს არცერთ სახელმწიფოს და, მათ შორის, რუსთის ფედერაციასაც თავისი არსენალიდან არ ამოუღია ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი... ასე რომ, ზედმიწევნით უნდა ვიცოდეთ მისი საბრძოლო თვისებები, ის შედეგებიც, მის გამოყენებას რომ მოჰყვება.

ნაშრომში წარმოდგენილია ქიმიური იარაღის მოკლე ისტორია, დანიშნულება, დამაზიანებელი მოქმედების არეალი, კლასიფიკაცია ნატოს სტანდარტების მიხედვით, არტილერიით, რაკეტებითა და ავიაციით ქიმიური იარაღის გამოყენების წესები და სხვ. ერთ-ერთი თავი აშშ-ისა და მისი „ნატოელი“ მოკავშირეების შეიარაღებული ძალების ქიმიური დაზვერვის ხელსაწყოებს ეთმობა. დეტალურადაა აღწერილი ბიოლოგიური იარაღიც.

ეს მართლაც საჭირო ნაშრომი, უპირველესად, განკუთვნილია სამხედრო მეთაურებისთვის. თუმცა, ნებისმიერ დაინტერესებულ მკითხველსაც კარგ სამსახურს გაუწევს. სწორედ ამას ემსახურება თანმხლები ლექსიკონი, სადაც თითოეული უცხო სიტყვა, ტერმინია განმარტებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი წიგნი მშობლიურ ენაზე დიდხანს არ გაგვაჩნდა. თანაც, იგი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში თავდადებულთა ხსოვნას ეძღვნება და ორმაგად ფასეულია.

პრეზენტაციაზე ელგუჯა ურუშაძის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ბრიგადის გენერალმა **გიორგი სურმავამ,** ავიაციის პოლკოვნიკმა **მიხეილ ბუცურეიშვილმა,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ელგუჯა ჩიტაიშვილმა**...

ავტორმა მადლობა გადაუხადა წიგნის რეცენზენტსა და მთავარ რედაქტორს, ვიცეპოლკოვნიკ **თამარ ჯამატაშვილს,** სამხედრო კონსულტანტს, ქიმიური ჯარების გადამდგარ პოლკოვნიკ **ივანე ზაქარიანს,** კონსულტანტებს – ბიოლოგიის მეცნიერების სრულ პროფესორს **გუგული გუგუშვილს** და ტექნიკურ მეცნიერებათა სრულ პროფესორს **ნუგზარ ბაქანიძეს,** რედკოლეგიას და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც კეთილი, საჭიროა საქმის დაგვირგვინებაში დაეხმარნენ.

ინეზა ლეკვეიშვილი

დედამიწის ზურგზე

ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის საბჭომ უარყო რუსეთის საჩივარი გადაწყვეტილებაზე იუკოსის აქციონერებისთვის კომპენსაციის საქმესთან დაკავშირებით

ადრე სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა უნდა გადაუხადოს კომპანიის ყოფილ აქციონერებს 1,86 მილიარდი ევრო მათი უფლებების დარღვევისთვის, რომლის გარანტიასაც იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია. იუსტიციის სამინისტრომ გასაჩივრა ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის ვერდიქტი, განაცხადა, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციას.

* * *

ობამა ჯერჯერობით არ არის მზად, ხელი მოაწეროს კანონპროექტს ახალი სანქციების შესახებ რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადეს თეთრ სახლში



ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პრეზიდენტი და მისი გუნდი უკიდურესად შეშფოთებული არიან რუსეთის მოქმედების გამო უკრაინაში, მაგრამ იბრძვიან სანქციების ისეთი რეჟიმისთვის, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მინიმუმამდე დაგვეყვანა მათი შედეგები ამერიკული ბიზნესისთვის, საერთაშორისო სანავთობო ბაზრისა და მსოფლიო ეკონომიკისთვის.

* * *

„ასეთი სიტუაცია საერთოდ არასოდეს ყოფილა“: ლუკაშენკომ მოუწოდა მთავრობას გამონახოს რუსეთის გასაღების ბაზრის შეცვლა

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მინსკი არ დაჯდება გულხელდაკრეფილი და არ დაელოდება უკეთეს დროს. „რაც დღეს შეიძლება – უნდა გავაკეთოთ, რათა გადავარჩინოთ ჩვენი წარმოება და არ გავყაროთ ხალხი ქუჩაში“, – თქვა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა.

* * *

„ისლამის სახელმწიფო“ ხუთი წლის ბავშვებს ბოევიკებად აძცევს, განაცხადეს გაეროში

ჰუმანიტარულ საკითხებში მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილის ვალერი ამოსის სიტყვებით, „შემოვიდა ცნობები იმის შესახებ, რომ 350 ბავშვი, რომელთაგანაც ზოგს მხოლოდ ხუთი წელი შეუსრულდა, გადიოდა სამხედრო მომზადებას ბანაკ რაკეში“. „ბავშვებს ხოცავენ, აწამებენ და მიმართავენ სექსუალურ ძალადობას კონფლიქტის ყველა მხარიდან“,– განაცხადა მან.

უფლება – გამოიტანოს ვერდიქტი – მკითხველს ეკუთვნის



„ცნობიერების ნაკადი“ – როგორც ცნობილია, ასე ეწოდება ჩვენ საუკუნეში გავრცელებულ თხრობითს ხერხს. სწორედ მეტაფორა „ნაკადი“, „მდინარე“, როგორც ტერმინის ფუძემდებელი ამერიკელი ფილოსოფოსი უილიამ ჯეიმსი ამბობდა, ყველაზე უკეთ ხატავს ცნობიერებას. ფილოსოფოსის წყალობით, ასეთ მიმართულებას მიაწერდნენ ბევრ რამეს იქიდან, რასაც ტრადიციული ჟანრები ვერ ითავსებდნენ. ტერმინი მეტად მოხერხებული, ყოვლისმომცველი გამოდგა და გვეხმარებოდა, გამოგვენახა საჭირო დასაბუთება იმისთვის, რაც ძნელად ასახსნელად გვეჩვენებოდა, ზოგჯერ კი სულაც ამოუხსნელად. კვლავ ხშირად იყენებენ მეტად „მოსახერხებელ“ ტერმინს „ჟანრების შესაყართან“, რითაც ცდილობენ, შეუთავსონ იგი, რაც ვერ თავსდება ჩვეულებრივ ჩარჩოებში და წარმოდგენებში. არ უნდა ჩავეფლო ამ კლასიფიკაციაში და უბრალოდ გაგიზიარებთ აზრებსა და შთაბეჭდილებებს, რაც **ალექსანდრე პოტიომკინის** რომანებმა შემიქმნა მცდელობის გარეშე – აუცილებლად მიმეკუთვნებინა ეს ნაწარმოებები გარკვეული ჟანრისა და მიმართულებისთვის.

ვაღიარებ, მე „წმინდა მკითხველი“ ვარ – ამ შემთხვევაში სწორად დასმული კრიტიკული შეხედულების ძიებანი ჩემთვის არ წარმოადგენენ პირველი ხარისხის მნიშვნელობას. მაგრამ პირველი გრძნობა, რომელიც მწერლის ზოგიერთი რომანის გაცნობამ გამოიწვია, ესაა უზარმაზარი გოცება, რომელიც შეიძლება გამოხატო წამოძახილით; „ამას დაწერა არ უნდა!“ ეს უნდა გქონდეს ასეთი წარმოსახვა, ასეთი ფანტაზია,რომ შექმნა სამყარო და ჩაასახლო მასში ასეთი პერსონაჟები; ეს უნდა შეაღწიო იმათ სულში, იმათ აღგზნებულ ცნობიერებაში, მათი ფსიქიკის სიღრმეში, რომელთაგანაც, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი საძრახისია, ზოგჯერ კი შემაზრზენიც, და ისაუბრო ამაზე მიუკერძოებლად, დაუგმობლად, არამედ წარუდგინო მკითხველს სასამართლოს და მიანიჭოს მას (მკითხველს) უფლება – თავად გამოიტანოს ვერდიქტი.

თავიდანვე შევნიშნავ: ალექსანდრე პოტიომკინის რომანები არაა „უცბად“ წასაკითხი, არა გასართობად საკითხავი და არაა იმისთვის, რომ „მოკლა დრო“. ესაა მეტად სერიოზული, „ძნელი“ ლიტერატურა, რომელიც მკითხველისგან მოითხოვს გარკვეულ „მომზადებას“, დიდ დაძაბულობას, ნერვებს, გააზრებას, ფიქრს, ანალიზს. ესაა ადამიანთა ტანჯვების, თანამედროვე ყოფის შემაძრწუნებელი სურათების განსახიერებული შენადედი, რაც შექმნილია ჭეშმარიტი მხატვრის ნიჭიერი ხელით, რომელმაც იკისრა აი ეს მძიმე ტვირთი, ზოგჯერ ადამიანთა ნაკლოვანებებისა და ტანჯვებისთვის დაუძლევლად რომ გეჩვენება.



მისი ნაწარმოებების გმირები... ვინ არიან ისინი, ეს ხალხი? როგორ „მოვიდნენ ისინი ასეთ ცხოვრებამდე“ და არის კი იმედი, რომ რაიმე იმათ (და არა მხოლოდ იმათ) ცხოვრებაში შეიცვალოს?

აი, ვასილი კარამანოვი (რომანი **„მე“**). ამ ადამიანს, რომელიც ვითარებათა და ბედისწერის გამო ბავშვობიდანვე საზოგადოებისგან გათიშულად, „იზგოიდ“ იქცა, ეზიზღებოდა მთელი სამყარო, მსოფლიო კი, რომელიც დასახლებული არიან უგულო და მკაცრი ადამიანებით, ამითვე უპასუხებს მას. მას ესმის, რომ მისთვის „ადამიანებთან“ ურთიერთობის შეუქცევადი პროცესი მისთვის დაუშვებელია და მიუღწეველი ფუფუნება. და თუ თავდაპირველად მას კიდევ უჩნდება ვიღაცასთან აზრის გაზიარების სურვილი (ესაა ადამიანი, რომლისთვისაც ერთ-ერთი ყველაზე გულის ამაჩუყებელი და თბილი მოგონება– პირველი „კოცნაა“. რამდენჯერმე ხელი აულოკა ნაგაზმა), მოგვიანებით ის მიდის იმ აზრამდე, რომ თანამოსაუბრე მას სრულიადაც არ სჭირდება, და მისთვის საკმარისია, იქონიოს ურთიერთობა თავის თავთან, თუმცა კი, ესმის, რომ ფიქრი და საუბარი საკუთარ თავთან – ეს სრულიად სხვადასხვა ცნობიერებაა. მის მეხსიერებაში სამუდამოდ დაილექა ბავშვობის დროინდელი წყენები, უსამართლობანი, ადამიანების მიერ მიყენებული ტკივილი. ის სიმწრით აღნიშნავს, რომ სამყაროს ადამიანის შექმნისთვის ოცდაათი მილიონი წელიწადი დასჭირდა და სარკასტულად უმატებს: „ეს როგორ არაეფექტური ქმნილება გამოვიდა!“ და მაშინ ჩნდება იდეა – გამოასწოროს ადამიანის გენეტიკური კოდი, ვინაიდან შეცვალო ადამიანში ადამიანური–ეს უდიდესი ცდუნებაა, რაც შთამომავლებს დაეკისრა.

ფილოსოფიური ბაზა შექმნილია. იგი ნასესხებია ცნობილი ფილოსოფოსისგან: „ცხოვრება საჭიროა არა შენთვის და არა სხვებისთვის, არამედ ყველასთან ერთად და ყველასთვის“. მისი მოწოდებაა – „შეიძინეთ საკუთარი მე“! მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მოწოდება, როგორც ყველა მისი დიდი „პროჟექტი“, იბადება საცოდავი მეეზოვის ქოხში, სადაც იგი აწარმოებს უსასრულო ძებნასა და დავებს მთელ სამყაროსთან და თავის თავთან, და სწორედ აქ წარუდგება სასამართლოს ვერდიქტის მოლოდინში.

კაცობრიობის გადარჩენის პრობლემებითაა გაჟღენთილი **„კაბალის“** გმირიც პიოტრ პეტროვიჩ პარფენჩიკოვი, რომელიც ოცნებობს, მოიპოვოს სამოთხე დედამიწაზე – ციმბირის უკიდეგანო ველებზე დათესილი ყაყაჩოებით, მისი აგზნებული და აფორიაქებული ცნობიერება და საუბრები ასეთ წუთებში მასთან გაჩენილ დოქტორ კოშმაროვთან (ასოციაცია პირველ რიგთან დაკავშირებით – დოქტორ ფაუსტთან, თუმცა მასშტაბები შეუთავსებელია), რომელსაც აქვს შესაძლებლობა, შეცვალოს ადამიანის გენეტიკური კოდი (ამ შემთხვევაში – რუსი ადამიანი, კოდის სინთეზის გზით, გერმანულთან, ჩინურთან, ებრაულთან და (უიმისოდ როგორ შეიძლება) ქართულთან), უბიძგოს მას ამ ექსპერიმენტისკენ. ის აგებს უზარმაზარ გეგმებს მინიმუმ ხუთი წლით, მაგრამ ცხოვრება მკაცრად ერევა მის მიწიერ არსებობაში და უყოფს მას უკიდურესად მცირე ვადას მათი განხორციელებისთვის. სიკვდილს მასთან ერთად მიაქვს არმყოფობაში ყველა ეს გეგმა და პროექტი, ხოლო უიმისოდ (და დოქტორ კოშმაროვის გარეშე) დარჩენილი კაცობრიობა ასევე რჩება დღემდე „არასრულყოფილად“.

და განა შეიძლება სრულყო ყველა ეს პომეშკინი, ხინუშკინი, ეფიმკინი, რაზუვინი, პუზირკოვი, გუსიატნიკოვი და სხვა ამნაირები? და, მართალია, ისინი სრულიადაც არ არიან ერთმნიშვნელოვანნი, ისინი წარმოიქმნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენებიდან და სხვადასხვა სოციალური გარემოდან, ყველა როდია ცხოვრების ფსკერზე – ზოგიერთი სანუკვართა რიცხვშიც კი შედის – მაგრამ ყველა მათგანი არის კაბალაში, იმ ვითარებათა და სიტუაციათა კაბალაში, საიდანაც, არსებითად, გამოსავალი არ არის. ესენია ხალხი სხვა, ჩვენგან უარყოფილი სამყაროდან. ისინი შეიძლება გეცოდებოდეს, გმობდე იმათ, მაგრამ შეუძლებელია იმათი მიღება.

შემთხვევით როდია, რომ ალექსანდრე პოტიომკინის ბევრი გმირი ფიზიკურად მოწყვლადია (რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არაა მხედველობაში ცნობილი პერსონები). არაა თითქმის არც ერთი არა თუ ლამაზი, არამედ, ელემენტარულად, „არასაზიზღარი“პირი. ავტორი განსახილველად წარმოაჩენს იმათ ულამაზობას, უღონობას, უძლურობას, ღიპიანობას, და ხშირად ეს დახასიათებანი გროტესკამდე მიდის. რად ღირს, თუნდაც, ხიმუშკინის გარეგნობის აღწერა: „იმის ულამაზო მელოტ თავზე ორი გამოხატული მეჭეჭი იჯდა. ერთი მოქანავე წვეტიანი თმით..., მეორე – საექიმო ძეხვის კუდს მოგაგონებდა...“ და შემდეგ: „ბატონი ხიმუშკინის მეჭეჭებს ჰქონდათ დამახასიათებელი თავისებურება: როდესაც პატრონს რაღაცა უკვირდა, ისინი იწყებდნენ ცქმუტვას სემიონ სემიონოვიჩის თავის ქალაზე, თითქოს მისი საკუთრება კი არაა, არამედ სხვისი ბუჭყაოო“. გარეგნულ დახასიათებას როდესაც ვამთავრებთ, შევნიშნავთ, რომ ბევრი გმირი თავისი არსით ასევე „წვრილი ბუჭყებია“, რომლებიც შეიძლება გათელოს დაუნდობელი სინამდვილის გულგრილმა ფეხმა.

ამ რომანების კითხვის დროს მუდამ თან მახლდა ბევრი პერსონაჟის გამოცნობის სევდის მომგვრელი გრძნობა: თავისი არსებით, ეს ხომ ეგრეთ წოდებულ იმ „პატარა ადამიანთა“ ტიპია, რომლებიც ოდითგანვეა ცნობილი რუსულ ლიტერატურაში. დიახ, ისინი სხვა დროში არიან, სხვა ვითარებებში, სხვა იპოსტასში. მათ აქვთ სხვა ლექსიკა, სხვა პრობლემები, სხვა ტრაგედიები. მაგრამ, იმათი „წყალობით“, ვუსმენთ აკაკი აკაკიევიჩსაც,სამსონ ვირინსაც, მაკარ დევუშკინსაც და, განსაკუთრებით საბრალო პოპრიშჩინსაც და სხვ.

ამ პერსონაჟების „კეთილშობილი“ წრაფვანი განწირულია დასაღუპავად თუნდაც იმიტომ, რომ გზების არჩევის დროს ისინი აწყდებიან „ძნელად“ გადასაწყვეტ დილემას – როგორ იმოქმედო. დუმდნენ საჯაროდ, თუ აღშფოთებით იდავონ საკუთარი თავის შიგნით. ყველაზე ხშირად ისინი მეორე გზას ირჩევენ, ვინაიდან „როდესაც შენ შეგეხება საქმე, კომპრომისი შეიძლება მოინახოს იოლად და ადვილად გაუწორდე საკუთარ თავს“.

ამ ადამიანებისთვის შინაგანი სამყარო პირველადია, გარეგანი კი – მეორადი და მესამედიც კი, და ამიტომ ყველა იმათი გაელვება თვითონ იმათშივე იღუპება და ზოგჯერ იმათთან ერთად. მაგრამ, როგორც წესი, მწერლის რომანებში ამგვარი იდეებით შეპყრობილი არიან პატარა, უბედური, საბრალო ადამიანები, „შიკერიის“ სამყარო კი, ასე დაუნდობლად რომ აქვს აღწერილი, ცხოვრობს ყველასთვის ცნობილი წესებითა და კანონებით. ამ სამყაროში არ არსებობს წესიერების, ღირსების, სამართლიანობის, სიკეთის, თანაგრძნობის ცნებები. უფრო მეტიც, ავტორი ამკობს იმათ ყველა შესაძლებელი და შეუძლებელი კომპლექსებით, სასწაულებრივი ცოდვებით, სიმახინჯეებითა და დამახინჯებებით. ყველა ეს პუზირკოვი, გუსიატნიკოვი, დიგალო და სხვა „ძმები“, რომლებიც ახლა თითქოსდა მწვერვალზე იმყოფებიან, არიან წარმატებულები და ართობენ თავიანთ არაფრისმაქნის, უსულგულო თავნებობას უსაზღვრო, უაზრო სისულელეებით, არიან განწირული. ამის დადასტურებაა– დიგალოს თვითმკვლელობა – თუმცა, დოსტოევსკის მიხედვით, ესეც ყველაფრის ნების ზღვარია იმ ადამიანებისთვის, ვისაც არ სწამს ღმერთი, ვისთვისაც ცოდვა უფრო მძიმეა, ვიდრე მკვლელობა.

არის თუ არა გამოსავალი ამ ჩიხიდან? უნდა ვეძებოთ იგი, თუ დავეთანხმოთ „ისტორიის მომენტს“, რომელიც „რუსი პაციენტის“ პერსონაჟმა გამოაცხადა: „საიქიო სამყარო – აი, ნებისმიერი ცოცხალი არსების ერთადერთი მიზანი“? ადამიანებმა იციან, რომ სამყარო, რომელიც იმათ ავტორმა გამოუყო, დეგრადირებს, იმათი სულის ნარჩენები კი ცოცხლობენ წარსულის შედეგრებში. და აქ ღირს დავსვათ მუდმივი შეკითხვა: „რა ვქნათ?“, რასაც აუცილებლად მოჰყვება მეორე: „რატომ“? რისთვის სჭირდება ავტორს ასეთი უიმედობა, ასეთი აპოკალიფსური საშინელებანი, ასეთი უძირო რყევები, რომელშიც ძირავს მკითხველს? ნუთუ ყველაფერი ასეთი საშინელია და უიმედო? ნუთუ მსოფლიო (და მთელი კაცობრიობა) განწირულია? იქნებ მაინც გვირაბის ბოლოს ანათებს შუქის პატარა სხივი და არის იმედი?

უნებლიეთ გამახსენდა შესანიშნავი ამერიკელი მწერლის ტორნტონ უაილდერის სტრიქონები, სადაც ის ახალგაზრდობის ზნეობაზე მსჯელობს: ამჟამინდელი ახალგაზრდობა ჩაიძირა უზნეობაში, სიმკაცრეში, დაივიწყა წარსულის საუკეთესო ტრადიციები, დაკარგა ყველა ადამიანური ღირსება, პატივისცემა წინაპართა ხსოვნისადმი, პატივისცემა უფროსებისადმი და ა.შ. მაშასადამე, მეტად აქტუალურია და თანადროული, ასე არაა განა? მაგრამ უაილდერი აგრძელებს: ყველა ეს „ჭმუნვა“ აღმოჩნდა ძველი რომის ნანგრევების გათხრების დროს თიხის ნატეხებზე. ერთი შეხედვით, ეს იმედს გვაძლევს. მაგრამ შემდგომი სტრიქონები კვლავ გვაიძულებს დავფიქრდეთ: ეს ხომ აღმოაჩინეს არა აყვავებულ სახელმწიფოში, არამედ დიდი რომის იმპერიის ნანგრევების თიხის ფირფიტებზე! დამაიმედებელი ამაში ბევრი არაფერია!

მაშ, როგორი მომავალი აქვთ ავტორის რომანების პერსონაჟებს? გავიხსენოთ „მეს“ გმირი. თავისი თავისთვის მოწყობილი სასამართლოს შემდეგ ის გამოდის ეზოში, რომ ჩაისუნთქოს სუფთა ჰაერი, რომელიც მას (ჩვენც) არ ჰყოფნის. და ერთი წამით გვავიწყდება, თუ სად ხდება ეს ყველაფერი, და გინდა გადაშალო რომანის უკანასკნელი გვერდი და გაიგო ვერდიქტი. მაგრამ ვერდიქტს, ალბათ, მწერალი გამოიტანს თავის მომავალ ნაწარმოებებში.

ველოდებით...

ნათელა ნადიბაიძე,
თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციირებული პროფესორი

◎ ჭიდაობა

მესამე კანდიდატი — მანუჩარ კვირკველია



საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობისთვის მანუჩარ კვირკველიაც იბრძოლებს. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამ გადაწყვეტილების შესახებ ჯერ კიდევ 1 დეკემბერს გაამხილა, მას შემდეგ, რაც ფედერაციის პრეზიდიუმმა პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე გადააყენა, გუშინ კი კვირკველიამ კანდიდატურა ოფიციალურად წამოაყენა.

„განაცხადი შევიტანე და პრეზიდენტობისთვის კენჭს ვიყრი. რაც შეეხება ჩემ საარჩევნო პროგრამას, ამაზე როდესაც საჭირო იქნება, მაშინ ვილაპარაკებ“, — განაცხადა გუშინ მანუჩარ კვირკველიამ.

პრეზიდენტობის მსურველ კანდიდატთათვის განაცხადის შესატანად დაწესებული ვადა 20 დეკემბერს იწურება, რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა კი 26 დეკემბერს გაიმართება.

ბოლო მონაცემების მიხედვით, ხმის უფლების მქონე დელეგატებს არჩევანის გაკეთება 3 კანდიდატს შორის მოუწევთ. საპრეზიდენტო განაცხადით ფედერაციას კვირკველიამდე კიდევ ერთმა ვეტერანმა მოჭიდავემ, მსოფლიოს 4-გზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა რომან რურუამ და პარლამენტარმა ვალერი გელაშვილმაც მიმართეს.

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

უკრაინელებიც დაამარცხეს!

უნგრეთში მიმდინარე ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე საქართველოს 16 წლამდე მოჭადრაკეთა ნაკრებმა ასპარეზობის ერთ-ერთი ფავორიტი — მე-4 ნომრად განთესილი უკრაინის ძლიერი გუნდი 2.5:1.5 დაამარცხა.

შედეგად, ქართველმა მოჭადრაკეებმა 3 მოგება და 1 ფრე მოაგროვეს და 7 ქულით მე-3 ადგილზე გადაინაცვლეს.

უკრაინელებთან პარტიები მოიგეს გიორგი სიბაშვილმა და ნიკა ღვამბერიამ (მეოთხე პარტია ზედიზედ!), ყაიმით დაასრულა შეხვედრა ნოე თუთისანმა, ნინო ხომერიკი კი დამარცხდა.

ასპარეზობას 8-8 ქულით რუსეთის და ინდოეთის უძლიერესი გუნდები ლიდერობენ. მომდევნო ტურში ცენტრალური სწორედ მათი შეხვედრა იქნება, ხოლო საქართველოს ნაკრები გერმანელ თანატოლებს დაუპირისპირდება.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის გუნდს სატურნირო რეიტინგსიაში მე-2 საფეხური უკავია, ქართველები კი მე-16 ნომრად არიან განთესილები.

საქართველოს ნაკრების წევრთა ინდივიდუალური შედეგები: სიბაშვილი — 1.5 (3), თუთისანი — 3 (4), ხომერიკი — 1.5 (4), ღვამბერია — 4 (4), ცომაია — 0 (0).

ბეჭან დოლიძე

◎ კალათბურთი

ზაზამ „ფინიქსს“ 13 ქულა ჩაუგდო

ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსმა“ ნბა-ს რეგულარული პირველობის გასვლით მატჩში „ფინიქს სანზს“ მძიმე ბრძოლაში 95:94 მოუგო. ზაზა სასტარტო ხუთეულში არ იმყოფებოდა, მაგრამ მილუოკელთა დამრიგებელმა ჯეისონ კიდმა ქართველ ცენტრს საკმაო სათამაშო დრო მისცა. ზაზამ პარკეტზე თითქმის 29 წუთი დაჰყო. ფაჩულიამ გუნდს 13 ქულა, 5 პასი, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა შესძინა. ქართველმა ცენტრმა 9-დან 6 ორქულიანი გამოიყენა და 3-დან ერთი საჯარიმო ჩააგდო. ზაზამ ბურთი ერთხელ დაკარგა და ერთი პერსონალური ჯარიმაც მიიღო. ფაჩულიას მარგი ქმედების კოეფიციენტმა +9-ს უწია. აღნიშნული მაჩვენებლით მილუოკელთა რიგებში ზაზას მხოლოდ კრის მიდელტონმა გაუსწრო.

აღსანიშნავია, რომ ზაზა მატჩის ბოლო წუთებზე პარკეტზე გახლდათ. ფაჩულიამ მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 2-ქულიანი ჩააგდო პლუს ჯარიმით და თავისი გუნდი წინ გაიყვანა. მატჩის დასრულებამდე 3 წამით ადრე „ფინიქსი“ 94:93 იგებდა. მილუოკელთა ფორვარდმა კრის მიდელტონმა ბოლო წამზე ტყორცნა. ბურთმა რკალზე იმოძრავა და საბოლოოდ მაინც ჩაეშვა კალათაში და ზაზა ფაჩულიას გუნდს მიმდინარე სეზონში მე-13 გამარჯვება მოუტანა. ჯეისონ კიდის შეგირდები აღმოსავლეთ კონფერენციაში საპლეიოფო ზონაში, მე-6 ადგილზე იმყოფებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

წილი ნაყარია

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრა, რომელმაც გუნდები შემდეგნაირად დააწყვილა:

„პსჟ“ — „ჩელსი“,
„მანჩესტერ სიტი“ — „ბარსელონა“,
„ლევერკუზენი“ — „ატლეტიკო“,
„იუვენტუსი“ — „დორტმუნდი“,
„შალკე 04“ — „რეალი“,
„შახტარი“ — „ბაიერნი“,
„არსენალი“ — „მონაკო“,
„ბაზელი“ — „პორტუ“.

პირველი მატჩები 17/18 და 25/26 თებერვალს გაიმართება, საპასუხო — 10/11 და 17/18 მარტს.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

მარია შარაპოვა: სპორტულ რეჟიმს ხშირად ვარღვევ

ცნობილ რუს ჩოგბურთელს მარია შარაპოვას, რა თქმა უნდა, სპორტულ რეჟიმში უწევს ცხოვრება. მისი ცხოვრებისა და ვარჯიშის გრაფიკი უმკაცრესადაა გაწერილი და განსაზღვრული, თუმცა, როგორც ეს შხვართი ჩოგბურთელი ამბობს, ხანდახან საკუთარ თავს გალაღების უფლებასაც აძლევს.

მარია შარაპოვა ფრანგ ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ ხანდახან ძალიან თრგუნავს სპორტული რეჟიმი და არაერთხელ დაურღვევვია იგი. თუმცა, როგორც წესი, სპორტული ცხოვრების წესს მაინც ინარჩუნებს და ეს ყველაზე ნათლად მის მიერ მიღწეულ მაღალ სპორტულ შედეგებში გამოიხატება.

„ყოფილა შემთხვევები, როდესაც ვარჯიშის დროს ნერვებმოშლილს დამიგდია ჩოგანი და მახლობელ ბარში შევსულვარ ერთი ჭიქა ვისკის დასალევად. რამდენჯერმე მარიხუანაც მაქვს გასინჯული, გემრიელ და აკრძალულ საკვებს კი ხშირად გეახლებით ხოლმე. თუმცა, ტურნირების წინ რეჟიმს აქტიურად ვიცავ. რას ვიზამ, ასეთია ჩემი ცხოვრება“ — ამბობს მარია შარაპოვა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ავტოსპორტი

ფ1-ის გუნდების ფეფებმა საუკეთესოდ ჰამილტონი დაასახელეს

ფორმულა ერთის ორგზის ჩემპიონი ლუის ჰამილტონი გასული სეზონის საუკეთესო პილოტად ფ1-ის გუნდების ხელმძღვანელებმაც დაასახელეს. ტრადიციულად, ბრიტანულმა გამოცემა „ავტოსპორტმა“ სეზონის დასრულების შემდეგ გუნდების შეფებს 10 საუკეთესო პილოტის დასახელება სთხოვა. კონკურსის წესების მიხედვით ყოველი ადგილი ფ1-ის ქულების (25-18-15-12-10-8-6-4-2-1) შესაბამისად ფასდება.

მორიგი გამოკითხვის შედეგებით ჰამილტონმა სოლიდური უპირატესობით გაიმარჯვა, მეორე ადგილი კი მისი მთავარი მეტოქის და თანაგუნდელის ნიკო როსბერგის ნაცვლად ფერნანდო ალონსოს ერგო, გერმანელმა კი მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. ალონსოს გასულ სეზონში აშკარად არ გაუმართლა — „ფერარის“ ბოლიდი სამეულში მოხვედრის შანსსაც კი არ აძლევდა, მაგრამ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რომელიც მომავალი სეზონიდან „მაკლარენს“ უბრუნდება, ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყო და მაქსიმალურ შესაძლებელ ქულებს აგროვებდა.

მესამე ადგილზე, ისევე როგორც ჩემპიონატში, „რედ ბულის“ დანიელ რიკარდო გავიდა. ავსტრალიელი ერთადერთია, ვინც „მერსედესის“ პილოტებს მოუგო და თანაც, ეს სამჯერ მოახერხა. მერვე ადგილი ერგო ჟიულ ბიანკის, რომელიც იაპონიაში მომხდარი ავარიის შემდეგ ახლაც კომაში იმყოფება. ფრანგმა მრბოლმა ჯენსონ ბატონი ჩამოიტოვა და ცოტათი ჩამორჩა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ სებასტიან ფეტელს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ლანზაროტეს კონვენცია

საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად

25 წლის წინათ – 1989 წლის 25 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია მიიღო, რათა მსოფლიომ თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდის სამართლებრივი უფლებების ერთობლიობა დაიცვას.

თუმცა, სამწუხაროდ, საკუთარი უფლებებით დღემდე ბევრი ბავშვი ვერ სარგებლობს. გაეროს ბოლო ანგარიშის – „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ მიხედვით, მოსახლეობის დიდ უმეტესობას, მათ შორის, პროფესიონალებს – მასწავლებლებს, სოციალურ მუშაკებსა და პოლიციელებს – სჯერათ, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ოჯახს ეხება და გარეშე პირები ამაში არ უნდა ჩაერიონ. რესპონდენტთა 45% კი ბავშვთა მიმართ ძალადობას აღზრდის ერთ-ერთ მეთოდად მიიჩნევს.

ფიზიკური დასჯის სრულად აკრძალვა ის საკითხია, რომელსაც უკვე წლებია ებრძვის ევროპის საბჭო – ადამიანის უფლებათა დაცვაზე ფოკუსირებული მთავარი საერთაშორისო ორგანიზაცია.

ბავშვთა მიმართ ძალადობის კიდევ ერთი უმძიმესი პრობლემა კი, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება, ბავშვებზე სექსუალური ძალადობაა.

2007 წლის 25 ოქტომბერს, ესპანეთის ქალაქ ლანზაროტეში ევროპის საბჭომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის კონვენცია მიიღო, რომელსაც ევროპის საბჭოს წევრმა ყველა ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომ, მოაწერა ხელი.

წელს საქართველო ევროპის საბჭოს რიგით 33-ე წევრი ქვეყანა გახდა, რომელმაც კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. საქართველოს მიერ რატიფიცირებული კონვენცია ძალაში 2015 წლის 1 იანვრიდან შევა. საერთო ჯამში, დღეისთვის ლანზაროტეს კონვენცია ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნიდან 34-ს აქვს რატიფიცირებული.

რამდენად ეფექტიანად ასრულებენ მხარეები ლანზაროტეს კონვენციას, ამის მონიტორინგს სპეციალურად შექმნილი „ლანზაროტეს კომიტეტი“ ახორციელებს. სადამკვირვებლო პროცედურა რამდენიმე ეტაპად არის დაყოფილი და თითოეული ეტაპი კონკრეტულ საკითხს ეძღვნება. კომიტეტის გადაწყვეტილებით, პირველი სადამკვირვებლო ეტაპი ყურადღებას ნდობის წრეში ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე გაამახვილებს.

„თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპის საბჭოს ქვეყნებში ბავშვთა გარშემო შექმნილი ვითარება რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა, ყველა ქვეყანაში, იქნება ეს საქართველო თუ ევროპის საბჭოს წევრი სხვა რომელიმე ქვეყანა, პირველ რიგში ბავშვები სარგებელს იმ შემთხვევაში ნახავენ, თუ ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად კომპლექსური სტრატეგიები სწორად გატარდება. მიმაჩნია, რომ ბავშვები საქართველოშიც არიან მსხვერპლის როლში სასწავლო დაწესებულებებში, მართლმსაჯულების სისტემაში, ჯანდაცვის სისტემასა თუ საკუთარ სახლებში თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ფიზიკური დასჯის ან ოჯახური ძალადობის მსხვერპლი არიან. ეს ყველა ქვეყანაში უნდა შეიცვალოს და ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხზე“, – აღნიშნა სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ბავშვთა უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენელმა ბატონმა მიქაელ პოუტიემ.

ბატონი პოუტიეს განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა ლანზაროტეს კონვენციის რატიფიცირებით, ახლა კი საქართველოს მთავრობამ კონვენციით გათვალისწინებული დებულებები უნდა შეასრულოს.

„პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ მოხარულები ვართ საქართველოს ლანზაროტეს ოჯახში გაწევრებით. კონვენცია ითვალისწინებს გეგმას, თუ როგორ უნდა მოახდინონ ქვეყნებმა სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვა და იმის უზრუნველყოფა, რომ დანაშაული აღკვეთილი იქნება ხელისუფლებისა და სოციალური სამსახურების ყველა ინსტანციის მიერ. გარდა ამისა, კონვენცია მხარს უჭერს ქვეყნებს სექსუალურ ძალადობაში დამნაშავეთა წინააღმდეგ სამართლებრივი ჩარჩოების შემუშავებასა და გატარებაში. საქართველო მონაწილეობას მიიღებს ლანზაროტეს კომისიის სხდომებში და სხვა ქვეყნების გამოცდილებას გაიზიარებს. დარწმუნებული ვარ, თავის მხრივ, საქართველოც შეძლებს სხვა ქვეყნებისთვის საკუთარი პრაქტიკის გაზიარებას, რომელიც სასარგებლო იქნება ყველა ჩართული მხარისთვის“, – აღნიშნავს ბატონი პოუტიე.

თუმცა, საქართველოში დღემდე დიდ პრობლემად რჩება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საზოგადოებაში რეინტეგრაცია. როგორც მიქაელ პოუტიემ Georgian Journal-თან ექსკლუზიური ინტერვიუსას განაცხადა, უნდა გატარდეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მხარდამჭერი ზომები და ეს მაშინვე უნდა მოხდეს, როგორც კი ძალადობის პოტენციური საფრთხე იჩენს თავს. მისივე თქმით, მეორადი ვიქტიმიზაცია ყველა ინსტანციაში თვიდან უნდა ავიცილოთ და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვი კვლავაც არ განიცდის მის მიერ განვლილ ტკივილს.

რაც შეეხება მედიის როლს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის გაშუქებისას, ევროპის საბჭოს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, მედიამ პატივი სცეს ბავშვთა პირად ცხოვრებას. მისივე თქმით, როდესაც კონკრეტული შემთხვევა მედიით შუქდება, ჟურნალისტი უნდა შეეცადოს, თავიდან იქნეს აცილებული ბავშვის იდენტიფიცირება.

„თუმცა, ასეთი შემთხვევების გაშუქება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოებამ, პოლიციამ და მართლმსაჯულებამ ერთობლივად შეძლონ მუშაობა სწორი მიმართულებით. ჩვენ ვერ შევებრძოლებით ძალადობას, თუ ამის შესახებ არ გვეცოდინება. ასე რომ, საქართველოში სექსუალური ძალადობის შემთხვევათა მატება მიუთითებს იმაზე, რომ ეს შემთხვევები უფრო მეტად შუქდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით შესრულდეს ლანზაროტეს კონვენციის დებულებები, რომელიც რეალურად კარგად გვთავაზობს, თუ როგორ უნდა დაიცვას ეროვნულმა კანონმდებლობამ ბავშვი და როგორ უნდა აღკვეთოს ძალადობა. მიმაჩნია, რომ ხალხისთვის და განსაკუთრებით ბავშვებისთვის სწავლების მთელი პროცესი უნდა გატარდეს და ვუთხრათ მათ – გაბედულად ისაუბრეთ თქვენი შემთხვევის შესახებ, რათა პროფესიონალებმა შეძლონ თქვენი დახმარება“, – განაცხადა მიქაელ პოუტიემ.

ვერის ბაღის გულშემატკივართა კლუბ „ქართლოსის“ წევრთა სახელით გიგლა ჯაყელი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი კალათბურთელი, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, ქვეყნისა და სამეგობროს სამაგალითოდ მოყვარული პიროვნება

ვაჟა ჟღენტი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ომარ, გიგლა ჯაყელები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კოლორიტი ქალაქელი კაცი

ვაჟა ჟღენტი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მანანა, გია, ნია, სანდრო კავკასიძეები, ზაურ, ვანიკო ბოჭორიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ოჯახის უახლოესი მეგობარი

ვაჟა ჟღენტი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77;

568 82-09-84..

◎ ინფორმაცია

დააყაჩაღეს სტომატოლოგიური კლინიკა

კლინიკის თანამშრომლების ინფორმაციით, ინციდენტი ღამით, 22:30 საათზე მოხდა, ამ დროს კლინიკაში მხოლოდ მორიგე ექიმი იმყოფებოდა.

მათივე ინფორმაციით, დაახლოებით 40 წლამდე მამაკაცი კლინიკაში შევიდა, სტომატოლოგიური კონსულტაცია ითხოვა, შემდეგ კი სამართებელი ამოიღო, თანხა მოთხოვა და მორიგე ექიმს მოკვლით დაემუქრა; დამყაჩაღებელმა კლინიკიდან მხოლოდ 55 ლარის წაღება მოახერხა.

მომხდარი სათვალთვალო კამერებითაა გადაღებული, რომელიც გამოძიებას უკვე მიაწოდეს. სამართალდამცველებისთვის უკვე ცნობილია დამნაშავის ვინაობა.

არასრულწლოვანმა გოგონამ მამაკაცი მოკლა

თბილისში, ხუდადოვის ქუჩაზე, არასრულწლოვანმა გოგონამ შუახნის მამაკაცი მოკლა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, არასრულწლოვანი გოგონა მომხდართან დაკავშირებით დაკითხეს და მოგვიანებით, ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.

შსს-ში აცხადებენ, რომ არასრულწლოვან გოგონას თავს მამაკაცი დაესხა, გოგონამ თავდაცვის მიზნით, თავდამსხმელს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

◎ რას არ გაიგებ!

მსოფლიოში არსებული ყველაზე უჩვეულო გადასახადები

ვენეციის მთავრობამ გადაწყვიტა, გადასახადი დაეწესებინა რესტორნების მფლობელებისთვის, რომელთა უძრავი ქონებაც ქალაქზე ჩრდილს ფენს.

ისტორიამ გვასწავლა, რომ ამქვეყნად ყველაფერზე შეიძლება გადასახადების დაწესება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყოველთვის არ შეიძლება იყოს სახელმწიფოსთვის მოგების მომტანი. ბენჯამინ ფრანკლინის თქმით, ამქვეყნად მხოლოდ ორი რამ არის გარდაუვალი: სიკვდილი და გადასახადები. სწორედ ამიტომ, გთავაზობთ მსოფლიოში არსებულ 10 ყველაზე უჩვეულო გადასახადს.

ბელგია – გადასახადი საკვების გრილზე მომზადების გამო

2007 წელს, ვალონიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, სადაც დაახლოებით 3,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, გადაწყვიტა, დაეწესებინა გადასახადი, რომელიც საკვების გრილზე დამზადებასთანაა დაკავშირებული. გადასახადის დაწესება ქალაქის ხელისუფლებამ გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლით ახსნა. ითვლება, რომ საკვების გრილზე დამზადების დროს, ატმოსფეროში 50-100 გრამი სათბურის აირები ხვდება. ამიტომ ბელგიის ამ ქალაქის ყოველმა მაცხოვრებელმა, სანამ ბარბიქიუს დამზადებას გადაწყვეტს, 20 ევრო უნდა გადაიხადოს. ვალონიელების კეთილსინდისიერებას კანონის დამცველები სპეციალური ანტენებისა და ვერტმფრენების მეშვეობით აკონტროლებენ.

აშშ – გადასახადი რუჯზე

აშშ-ის მთავრობამ გადაწყვიტა, იზრუნოს საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამიტომ, 2007 წლის ჯანდაცვის რეფორმის ერთ-ერთი ელემენტი რუჯის მიღებაზე გადასახადის დაწესება გახდა. დღესდღეობით, ყოველი ამერიკელი, რომელსაც სოლარიუმში რუჯის მიღება სურს, ვალდებულია, გადაიხადოს მომსახურების 10%-ის ოდენობის გადასახადი.

ესტონეთი: გადასახადი ძროხის კუჭ-ნაწლავიდან გამოყოფილ გაზებზე

ეს ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე აბსურდული კანონია, რომელიც ოდესმე გსმენიათ. 2008 წელს ესტონეთის მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, ძროხების მეპატრონეებს დამატებითი გადასახადი უნდა გადაეხადათ. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მსხვილფეხა რქოსანი ამ გზით ძალიან აბინძურებს ჰაერს.

საბერძნეთი: გადასახადი აუზზე

საბერძნეთში საკუთარი აუზის ქონა დიდ ფუფუნებად ითვლება. ამიტომ, სახლში აუზის მფლობელი ადამიანები ვალდებულები არიან წელიწადში დაახლოებით, 800 ევრო გადაიხადონ. ათენის მრავალი მაცხოვრებელი, გადასახადისგან თავის არიდების მიზნით, აუზს ბალახისფერი ბრეზენტით ფარავს.

ავსტრია: გადასახადი თაბაშირზე

ავსტრიული ალპები – იდეალური ადგილია მათთვის, ვისაც თხილამურებზე სრიალი უყვარს. ყოველწლიურად მოტეხილობების და ტრავმების გამო, ავსტრიის საავადმყოფოებში 150 000 ადამიანი ხვდება. ამის გამო, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტურისტებისთვის სპეციალური გადასახადის დაწესება გადაწყვიტეს. თაბაშირის გადასახადს სასტუმროებისა და პანსიონატების მფლობელები აგროვებენ.

ბალეარის კუნძულები: მზის გადასახადი

მზის გადასახადის გადახდა სავალდებულო ყველა ტურისტისთვისაა, რომელიც მაიორკაზე და ბალეარის სხვა კუნძულებზე ჩამოდის დასასვენებლად. გადასახადი არც თუ ისე დიდია, მხოლოდ 1 ევრო დღეში. შეგროვილი თანხა ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ხმარდება. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ბალეარს დაახლოებით, 10 მილიონი ადამიანი ესტუმრა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მზე საკმაოდ კარგ გავლენას ახდენს ადგილობრივ ბიუჯეტზე.

ვენეცია: გადასახადი ჩრდილზე

1993 წელს ვენეციის მთავრობამ გადაწყვიტა, გადასახადი დაეწესებინა რესტორნების მფლობელებისთვის, რომელთა უძრავი ქონებაც ქალაქზე ჩრდილს ფენს.

უნგრეთი: გადასახადები ფასტ-ფუდზე

ე.წ. „ჩიფსების გადასახადი“ უნგრეთში 2011 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. ამგვარი მეთოდით, უნგრეთის ხელისუფლება ცდილობს, საკუთარი მოქალაქეების კვების რაციონი უფრო ჯანსაღი გახადოს.

ჩინეთი: გადასახადი ჩხირებზე

ყოველწლიურად ჩინეთში 45 მილიარდ ჩხირს იყენებენ, რომელთა წარმოებისთვის 25 მილიონი ხე ნადგურდება. ამ მიზეზით, მთავრობამ 5%-იანი გადასახადი დააწესა. კანონის შემოღების მიზანი, მოსახლეობის მხრიდან, მრავალჯერადი გამოყენების მქონე პლასტიკატის ჩხირებზე გადასვლა იყო. თუმცა, სამწუხაროდ, ტრადიცია ჩინელებისთვის უფრო ძვირფასი აღმოჩნდა, ვიდრე ეკონომიკური დაინტერესება.

WWW.BPN.GE

◎ დღესასწაული

დიდმოწამე ბარბარე

17 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ბარბარობას დღესასწაულობს. დიდმოწამე ბარბარე გამორჩეულად საყვარელი წმინდანია ქართველი ხალხისა.

დიდმონამე ბარბარეს გამორჩეულობა შესაძლოა, მის არა მარტო ღვთიურ, არამედ იმ ადამიანურ ხასიათსაც მიეწერება, რომელიც ახლოსაა ჩვენს, ქართულ ხასიათთან.

წმინდა ბარბარე წარმართის ოჯახში დაიბადა. ის დედით ობოლი იყო და მამამ გარეშე თვალთაგან მალულად აღზარდა. როდესაც ქალწულს გათხოვების დრო დაუდგა, მამამ იფიქრა, გოგონა ეულად აღზრდამ გულჩათხრობილი გახადაო და თავისუფლება მისცა. ამასობაში ალექსანდრიელმა ხუცესმა გოგონა მონათლა.

...გავიდა დრო, უსჯულოებმა ბარბარეს დასჯა გადაწყვიტეს. წარმართმა ბარბარეს მამამ აბანოს აგების დროს ორი სარკმლის გამოჭრა ბრძანა, ბარბარემ წინააღმდეგობა გაუწია მამამისს და სთხოვა: „სულიწმინდაც ანათებს დედამიწას“...

უსჯულოებმა კვლავ სცადეს ქალწულ ბარბარეს დასჯა. ის უფალს შეევედრა, რომ ყველა, ვინც კი მის მოწამეობრივ აღსასრულს მოიხსენიებდა, დაცული ყოფილიყო უეცარი სიკვდილისაგან და ზეცით უცებ ხმა მოესმა, რომ მისი ლოცვა უფალმა შეიწყნარა.

საგულისხმოა, რომ თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის (ზემო) ეკლესიაში დაცულია დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილი, რომელიც 1983 წელს კიევიდან ჩამოაბრძანეს.

წმინდა დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილებს, ბერძნული ეკლესია რამდენიმე საუკუნე დიდი კრძალულობით ინახავდა. 1108 წელს ბერძენი მეფის ასული ბარბარე ცოლად გაჰყვა კიევის მთავარ სვიატოპოლკს. მან თავისი ზეციური მფარველის წმინდა ნაწილები თან, კიევში გაიყოლა, სადაც ისინი დღემდე ინახება.

ტაძრის საკურთხეველში დაცულ ამ სიწმინდეს ყოველი წლის 17 დეკემბერს გამოაბრძანებენ, რათა მორწმუნენი ემთხვიონ და ეზიარონ მის მადლს... განსაკუთრებული ზეიმით ხვდებიან ამ დღეს საქართველოს ყველა კუთხესა და თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ქინძმარაულის ქუჩაზე, გურამიშვილისა და ჩიქოვანის ქუჩებზე მდებარე ტაძრებში.

„წმინდა ბარბარეს წამების“ ქართული ტექსტი შესულია „პარხლის მრავალთავში“, სინას მთისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრებში დაცულ ხელნაწერებში (X-XII ს.).

დიდმოწამე ბარბარეს მოსახელეთ ვულოცავთ ბარბარობას!

გიული ლიპარტია

◎ ქალი და მამაკაცი

როგორი განსხვავებულნი ვყოფილვართ, თურმე...

მამაკაცისა და ქალის ტვინს შორის განსხვავებაზე კაცთა მოდგმაში დასაბამიდან ათასნაირი მითქმა-მოთქმა, სერიოზული გამოკვლევა, სასაცილო ამბავი, სულაც ანეკდოტი არსებობს. ქალსა და მამაკაცს შორის ფიზიოლოგიური განსხვავება თავის ტვინზეც აისახება, რის შესახებ რამდენიმე ფაქტობრივი მონაცემის მოყვანა შეიძლება. მაგალითად:

- **დიდი ხანია, დადასტურებულია, რომ ქალის თავის ტვინი მამაკაცისაზე 10 პროცენტით პატარაა, თუმცა კი, ინტელექტზე ეს არანაირ გავლენას არ ახდენს;**
- **ასაკის მატებასთან ერთად, მამაკაცის თავის ტვინი მოცულობაში ქალისაზე უფრო სწრაფად იკლებს;**
- **ერთსა და იმავე ამოცანის ამოსახსნელად მამაკაცები და ქალები თავის ტვინის სხვადასხვა უბნებს იყენებენ;**
- **თუკი მამაკაცს გზა აებნა, იგი მოძრაობის მიმართულებისა და განვლილი მანძილის დამახსოვრებას ეცდება, ქალი კი ორიენტირ ობიექტებს დაიმახსოვრებს. ასე იქნება ავტომანქანით მოძრაობის დროსაც — მამაკაცი გზას მანძილების რიცხობრივი მაჩვენებლებით იმახსოვრებს, ქალი კი, უმეტესწილად, სხვადასხვა აბრებსა და მაღაზიების ვიტრინებს დაიმახსოვრებს;**
- **ქალი უფრო ხშირად ყველაფერს დეტალებში იმახსოვრებს, მამაკაცისთვის კი დამაჯამებელი აზრიც საკმარისია;**
- **მამაკაცები უფრო მალე აღიქვამენ ინფორმაციას, ამიტომაც, უფრო სწრაფად რეაგირებენ, მაგრამ...**
- **ქალებს ერთდროულად რამდენიმე საინფორმაციო ნაკადის აღქმა შეუძლიათ, მამაკაცები კი ღიზიანდებიან, როცა ძირითად საქმიანობასთან ერთად რაღაცის „პარალელურად“ კეთებაც უწევთ;**
- **მამაკაცებს უფრო მეტად ზუსტი მეცნიერები ხელეწიფებად, ქალებს კი — ჰუმანიტარული;**
- **ყველაზე საგულისხმო, ალბათ, მაინც ის არის, რომ მამაკაცები სექსზე ლამის გამუდმებით ფიქრობენ, ქალებს კი ის ერთორ დღეში თუ ახსენდებათ. ბუნებრივია, რომ ნაირ-ნაირი ფსიქიკური გადახრები სათვალავში არ ითვლება;**
- **ქალები მამაკაცებზე გაცილებით მეტს ლაპარაკობენ. ასეთი მოჭარბებული კომუნიკაბელობა ქალთა ტვინში სიამოვნების ცენტრის მუშაობასთანაა დაკავშირებული, ამდენად, მათთვის ლაპარაკი თითქმის ორგაზმის ტოლფასია;**
- **ქალები და მამაკაცები სხვადასხვანაირად რეაგირებენ მკვეთრ და გამაღიზიანებელ ხმებზე;**
- **ნდობის დასამყარებლად ქალისთვის საკმარისია თუნდაც 20-წამიანი მაგარი ჩახუტება;**
- **დღის განმავლობაში ქალები მამაკაცებზე სამჯერ მეტ სიტყვას ხმარობენ;**
- **ფუნქციირებისას, ქალის თავის ტვინი მამაკაცისაზე მეტად ხურდება, რადგან მეტ გლუკოზას „წვავს“;**
- **მამაკაცები და ქალები იუმორს სხვადასხვანაირად აღიქვამენ. მამაკაცებს უფრო მეტად მხიარული ფინალი აღელვებთ, ქალები კი მეტ სიამოვნებას მთლიანად იუმორის დახვეწილობისგან, თხრობის ენისგან იღებენ და ფინალისგან მამაკაცებზე მეტ სიამოვნებასაც იღებენ;**
- **ორგანიზატორული ნიჭი მამაკაცებს უკეთ აქვთ განვითარებული;**
- **მამაკაცებს ქალებზე სუსტი სმენა აქვთ, ამიტომაც ქალებს მცირედი ნიუანსებიც ესმით, რომლებსაც მამაკაცები ყოველთვის ვერ აღიქვამენ;**
- **მამაკაცები მეტყველებას ლოგიკის დახმარებით იმახსოვრებენ, ამიტომაც „ზუსტად ის ესმით, რაც ითქმება“, ქალები კი ამ დროს ინტუიციასა და ემოციებს რთავენ, ამიტომაც „თავისით“ ხშირად, „რაღაც დეტალებსაც“ ამატებენ;**
- **ბუნებით ქალები უფრო კომუნიკაბელურები, მამაკაცები კი — აგრესიულები არიან. ამიტომაცაა, რომ მამაკაცები უფრო ხშირად ჩხუბობენ, ქალები კი იმის გამო ღიზიანდებიან, რომ მამაკაცებს მათთან დიდი ხნის განმავლობაში საუბარი არ შეუძლიათ. არადა, საქმე ისაა, რომ მამაკაცთა მეტყველება, ჩვეულებრივ, ქალებისაზე ნაკლებადაა განვითარებული.**

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მარო პატარა მიხოსთან ერთად ქუჩაში თავის ძალიან ლამაზ დაქალს ხვდება.

— მიხო, აკოცე დეიდას! — ეუბნება მარო.

— არა, დედი.

— მიხო, რა გითხარი?

— ხომ ვთქვი, არა-მეთქი!

— კარგი, ნუ ჯიუტობ. რატომ არ გინდა, რომ აკოცო?

— იმიტომ, რომ გუშინ მამა აპირებდა მის კოცნას და ორჯერ შემოულაწუნეს ყბაში!

* * *

— **რა** ლამაზი კბილები გაქვს, ქალბატონო!

— ისინი დედაჩემისგან მხვდა...

— რა კარგია, რომ ასე კარგად მოგერგოთ!

* * *

საქართველოს ყველაზე დიდი ტრაგედია ისაა, რომ ის ადამიანები, ვისაც შეუძლია ეროვნული ბანკის ღირსეულად გაძღოლა ან კრიზისების დროულად გადაჭრა, უკვე თვითდასაქმებულია ტაქსისტებად, სუპერმარკეტების დარაჯებად და პოლიციელებად...

* * *

— **შეუძლია** თუ არა საქართველოს იმპორტულ ორგტექნიკაზე უარის თქმა?

— არ შეუძლია, რადგან არ არიან სპეციალისტები, ვისაც ძალუძს ანგარიშებზე მუშაობა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24